სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #6

ქ. თბილისი **2024 წლის 27 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. ლელა ბახტაძე 5. მარინა მაისურაძე 6. ილია თავხელიძე 7. ლია მაჭავარიანი 8. ნათელა არჩვაძე 9. ამირან ბიბილაშვილი 10. მარიამ ახალკაციშვილი 11. მაკა მურვანიძე 12. ვასილ ბერიძე 13. მაია ივანიძე 14. გიორგი თუმანიშვილი 15. ნათია სვანიძე 16. ავთანდილ ტუკვაძე 17. ალექსანდრე გაბაშვილი 18. ვლადიმერ გამსახურდია 19. იზაბელა პეტრიაშვილი 20. ვლადიმერ მარგველაშვილი 21. ზურაბ ჩხაიძე (უფლებამოსილების შეწყვეტამდე) 22. შალვა ფარულავა 23. გიორგი პატარაია 24. კახაბერ ლორია 25. ანასტასია ზაქარიაძე 26. მანანა რუსიეშვილი 27. თეა ქარჩავა 28. ლერი თავაძე 29. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 30. ინგა სანიკიძე 31. გიორგი არქანია 32. გიორგი ლაბაძე 33. ლუკა მამალაშვილი 34. ზურაბ გაიპარაშვილი 35. ნინო პავლიაშვილი 36. ციური სუმბაძე 37. სოფიო ხუციშვილი 38. ლალი ახალბედაშვილი 39. თამილა ჩალაძე 40. გიორგი მამარდაშვილი 41. ედიშერ ფუტკარაძე 42. მანანა ნიკოლაიშვილი 43. მარინა გურგენიშვილი 44. მარინე ხუციშვილი 45. გვანცა გვანცელაძე 46. ნოდარ ლომიძე 47. თეა შავაძე 48. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ჯაბა სამუშია 2. ზურაბ აბაშიძე 3. ივანე ამირხანაშვილი 4. თეიმურაზ ბაქრაძე 5. მიხეილ ბახტაძე 6. თამარ გაგოშიძე 7. ცისმარ გავაშელი 8. ვასილ გონაშვილი 9. როზეტა გუჯეჯიანი 10. თამარ ვეფხვაძე 11. ლია თოთლაძე 12. გიორგი ლომინაძე 13. ვახტანგ მაღრაძე 14. მარინე მაჭავარიანი 15. ლევან საბაური 16. ომარ ფურთუხია 17. ზაქარია ქიტიაშვილი 18. გურამ ქუთელია 19. რამაზ ქურდაძე 20. მორის შალიკაშვილი 21. ნინო შარაშიძე 22. თემურ შენგელია 23. მარინე ჩიტაშვილი 24. ედიშერ ცხადაძე 25. მაია ძაგანია 26. ეთერ ხარაიშვილი 27. ქეთევან ხუციშვილი (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა სხდომის საგარაუდო დღის წესრიგი შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: გიორგი თავაძე);
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: -არჩილ კუკულავა).
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
5. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №84/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: დავით ლორთქიფანიძე);
6. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის №107/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ნოდარ ლომიძე);
7. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის № 42/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის № 130/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ტატიშვილი);
8. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის № 112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №142/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, შოთა ფოთოლაშვილი);
9. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის № 49/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 143/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

10. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომში განკარგვის (უტილიზაციის) მიზნით თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
11. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.005.057) განთავსებული #A-1077 და უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში ანა პოლიტოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.006.117) განთავსებული #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურების კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად გამიჯვნის, შემდგომში მათი ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაციასა და უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ, მათი სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაცემის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
12. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (ს/კ 01.13.02.009.015 შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად) ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციაზე და მისი სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
13.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გადაცემაზე თანხმობის შესახებ, მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
14. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. N10) შენობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხის 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხის 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი) სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტასათვის" გადაცემის მიზნით თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
15. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მაკულატურის (დაახლოებით 11 ტონა) რეალიზების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, გიორგი არქანიამ სხდომის თავმჯდომარისგან ითხოვა სიტყვის უფლება და მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მან სხდომაში მონაწილე პირებს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა ნაწილის განცხადება, რომლითაც დანართის სახით დაერთო ოქმს (დანართი 3).

ამასთან, მომხსენებელმა დასვა საკითხი დღის წესრიგს განსახილველად დაემატოს საკითხი - „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, „სისხლის სასამართლის კოდექსის“ მუხლით დაკავებული ზვიად ცეცხლაძის საკითხზე წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი ჯგუფის შექმნის შესახებ“. როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, 4 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, 19 წლის ზვიად ცეცხლაძე დააკავეს. მას ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილის („ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა“) მიხედვით, რომელიც გულისხმობს „ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას ან ხელმძღვანელობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა”. აღნიშნული მუხლით ბრალდებულს 6-დან 9
წლამდე პატიმრობა ემუქრება.
გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ზვიად ცეცხლაძის საქმე პირდაპირ არის დაკავშირებული უნივერსიტეტთან, რადგან ის ამ დაწესებულების სტუდენტია და აგრეთვე, დაკავებამდე ის თავის თანამოაზრეებთან ერთად პროტესტს გამოხატავდა უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში.
აღნიშნულის გათვალისწინებით და ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღნიშნული ფაქტი ყურადღების გარეშე არ უნდა დატოვოს. შესაბამისად, მომხსენებლის აზრით მიზაშეწონილია, რომ წარმომადგენლობითმა საბჭომ ჩამოაყალიბოს დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც: 1) ზოგადად გაეცნობა საქმის ვითარებას და დაკავებულის მდგომარეობას; 2) ურთიერთობა ექნება დაკავებულის ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან; 3) საჭიროებისამებრ, სენატის წევრებს და ზოგადად საუნივერსიტეტო საზოგადოებას შესთავაზებს მხარდაჭერის მექანიზმებს, საკონსულტაციო სახის წინადადებებს, რათა სასჯელი შეეცვალოს სხვა, შედარებით მსუბუქი ზომით; აღნიშნა, რომ თუკი საჭირო გახდება, სენატის წევრებსა და საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებს შესთავაზებს თავდებად დადგომას მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი ფორმით. სამუშაო ჯგუფში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების გაერთიანებაც ნებაყოფლობითი სახით უნდა მოხდეს. მომხსენებლის აზრით, საკმარისი იქნება 4-5 წევრიანი კომისია, მათ შორის, იურისტების ჩართულობით. აღნიშნა, რომ საკითხზე საუბარი ჰქონდა სტუდენტის ოჯახთან და მათთან კომუნიკაციაშია ასევე უნივერსიტეტის რექტორი და იურიდიული ფაკულტეტის დეკანი. მნიშვნელოვანია, რომ სენატმა, როგორც წარმომადგენლობითმა ორგანომ, ერთგვარი მაკოორდინირებელი ფუნქცია გასწიოს, მითუფრო, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესაძლებლობა უნივერსიტეტის წესდებითაა გათვალისწინებული. ამასთან, ეს ასევე იქნება მორალური მხარდაჭერის აქტი უნივერსიტეტის სტუდენტის მიმართ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა სენატის წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა დღის წესრიგი აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 1

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: გიორგი თავაძე);
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: -არჩილ კუკულავა).
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
5. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №84/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: დავით ლორთქიფანიძე);
6. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის №107/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ნოდარ ლომიძე);
7. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის № 42/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის № 130/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ტატიშვილი);
8. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-

პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის № 112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №142/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, შოთა ფოთოლაშვილი);

9. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის № 49/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 143/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

10. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომში განკარგვის (უტილიზაციის) მიზნით თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

11. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.005.057) განთავსებული #A-1077 და უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში ანა პოლიტოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.006.117) განთავსებული #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურების კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად გამიჯვნის, შემდგომში მათი ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაციასა და უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ, მათი სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაცემის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

12. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (ს/კ 01.13.02.009.015 შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად) ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციაზე და მისი სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

13.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გადაცემაზე თანხმობის შესახებ, მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

14. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. N10) შენობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხის 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხის 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი) სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო

ტექნიკურ ცენტრ „დელტასათვის" გადაცემის მიზნით თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
15. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მაკულატურის (დაახლოებით 11 ტონა) რეალიზების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
16. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ზვიად ცეცხლაძის საკითხის შემსწავლელი წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე სხდომაში მონაწილეებს სიტყვით მიმართა თსუ რექტორმა ჯაბა სამუშიამ. მან ვრცლად ისაუბრა უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, მათ შორის, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საპოლიციო ძალების შემოყვანასთან დაკავშირებულ საკითხზე. აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს ინიციატივას ამ საკითხზე სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით უკუკავშირი არ მოჰყოლია შესაბამისი პირების მხრიდან. ვრცელდებოდა არასწორი, გადაუმოწმებელი ინფორმაცია. უნივერსიტეტის რექტორმა დეტალურად, ქრონოლოგიურად აღწერა იმ დღეს განვითარებული მოვლენები. კიდევ ერთხელ შესთავაზა საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს არსებული ჩანაწერების დათვალიერება, რომლითაც დასტურდება რეალური გარემოებები.

უნივერსიტეტის რექტორმა ხაზი გაუსვა, რომ არანაირ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია მისი მხრიდან, სხვა შემთხვევაში იგი მზად იქნებოდა შესაბამისი პასუხისმგებლობისათვის. ადგილი ჰქონდა ცილისწამებას და ცილისწამებისათვის ბოდიში მაინც უნდა იქნეს მოხდილი.

გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის გზა ევროპისკენაა მიმართული და წინა პოლიტიკური საქმინობიდან გამომდინარე, მასაც მიუძღვის წვლილი ევროპასთან ინტეგრაციის კუთხით და დარწმუნებულია, რომ ეს მიზანი მიღწეული იქნება.

თსუ რექტორმა ისაუბრა უნივერსიტეტის სტუდენტ -ზვიად ცეცხლაძის საკითხზე. აღნიშნა, რომ მისი თხოვნით ოჯახთან კომუნიკაციაშია იურიდიული ფაკულტეტის დეკანი. ასევე, მასაც ჰქონდა ოჯახთან საუბარი. გამოთქვა იმედი, რომ შესაბამისი ორგანოების მხრიდან მიღებული იქნება გონივრული გადაწყვეტილებები, ხოლო თავად, გამოიყენებს ყველა ბერკეტს უნივერსიტეტის სტუდენტის დასახმარებლად.

სიტყვის დასასრულს, თსუ რექტორმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ერთმანეთის აზრის პატივისცემას, ასევე თსუ-ს იმიჯისა და რეპუტაციის გაფრთხილების აუცილებლობას, რათა დავიცვათ უნივერსიტეტი პარტიული პოლიტიკისგან.

თსუ რექტორმა უპასუხა დასმულ შეკითხებს, რის შემდგომაც სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვით.

1.წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი - ზურაბ ჩხაიძე მონაწლეობდა მ.წ. აკადემიური საბჭოს ჩატარებულ არჩევნებში და შესაბამისად, სენატის წევრი ითხოვს მისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან მას უფლებამოცვლე არ ჰყავს, არსებული ვაკანსიის შევსება უნდა მოხდეს დადგენილი წესით, ახალი არჩევნების გზით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ზურაბ ჩხაიძეს შეუწყდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი (დანართი 4);

2.დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურის დებულების პროექტი. როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობით და სამსახურის როგორც ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების, ასევე მთლიანად სამსახურის დასახელებაში შესატანი ცვლილებებით და ახალი შიდა სტრუქტურული ერთეულის დამატების საჭიროებით. ცვლილებები იმდენად მოცულობითი და ძირეული ხასიათის იყო, რომ დადგა დებულება ხელახლა დამტკიცების საჭიროება.
აღინიშნა, რომ ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სამსახურის არსებული დებულება.
საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია. მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილოებისაგან თავი შეიკავა წარმომადგენლობითი საბჭოს 2 (ორმა) წევრმა.

მიღებული გადაწყვეტილებები:

1.დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურის დებულება წარმოდგენილი სახით და გამომდინარე აქედან, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები არსებულ სტრუქტურაში, დადგენილი წესით (დანართი #5);
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ადრე მოქმედი დებულება.

3.დასამტკიცებლად წარმოდგენილია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილება.
საკითხის მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ მუხლებრივად და პუნქტობრივად დაიწყო წარმოდგენილი ცვლილების პროექტის განხილვა, ასევე თხოვნით მიმართა სხდომაში მონაწილე პირებს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი მხოლოდ წესდების პროექტია, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება თუ შენიშვნა მსჯელობისთვის, ნებისმიერ მუხლთან თუ პუნქტთან დაკავშირებით.
აღინიშნა, რომ წესდების ცვლილების პროექტი ითვალისწინებს მის ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას, დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე დეკანის ვერარჩევის შემთხვევაში, მოვალეობის შემსრულებლის არჩევის წესის წესდებაში ასახვის ნაწილში.

ცვლილების პროექტი ასევე ითვალისწინებს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის თაობაზე წესდებაში ამჟამად არსებული ჩანაწერის ცვლილებას. კერძოდ, წესდების ამჟამინდელი რედაქციით გათვალისწინებულია ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე 4 წლით არჩევა. წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე პირის არჩევის კანონით გათვალისწინებული ვადების ანალოგიურ მითითებას, ხოლო ზუსტი ვადის განსაზღვრის უფლებამოსილება ენიჭება აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს, რომლებიც წარმოადგენენ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მიმღებ და დამამტკიცებელ ორგანოებს. ამავე დროს, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადების განმსაზღვრელი ახალი ნორმის მოქმედება გავრცელდება მისი ამოქმედების შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ცვლილებების პროექტი ასევე ითვალისწინებს წესდებაში არსებული გარკვეული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას. წესდების ცვლილებები არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დოკუმენტის ირგვლივ გაიმართა დისკუსია. კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტის წესდებაში წარმოდგენილი ცვლილების შეტანის საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში თანდარული სახით (დანართი #6);
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შეტანილი ცვლილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. მომხსენებელმა წარმომადგენლობითი, აკადემიური საბჭოს წევრებსა და სხდომაში მონაწილე პირებს დეტალური გააცნო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია (წარმოდგენილი იქნა პრეზენტაცია).

აღინიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია: ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'', ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის პროექტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის'', ,,პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის,'' უნივერსიტეტის წესდების, ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის'' და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის 2025 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების, სტუდენტთა ხელშეწყობის, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტკიცების, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლების, ინფრასტრუქტურული პროექტების, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის, სახელმძღვანელოების შექმნისათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

2025 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.

უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შოთა რუსთაველის საქართველოსეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა 127 702 098 ლარით.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს (ხარჯებს), აღნიშნა, რომ იგი გაწერილია პროგრამების მიხედვით, რაზედაც ისაუბრა დეტალურად და მიუთითა, რომ ჯამში ამ პროგრამების მიხედვით გასაწევი ხარჯებმა შეადგენა სულ- 123 253 715 ლარი.
ამასთან, 2025 წლის ბიუჯეტში: ა) საკუთარი სახსრებით მისაღები შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით შეადგენს 88 643 505 ლარს, ხოლო გასაწევი ხარჯები 88 521 715 ლარს. როგორც 2024 წლის ბიუჯეტი ასევე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტიც ასევე დეფიციტურია.
პროექტი გაანგარიშებულია და გაწერილია, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. მონაცემები ეყრდნობა: უნივერსიტეტის წინა წლების ბიუჯეტების შესრულების ანალიზს, საბიუჯეტო წლის მოსალოდნელი შემოსავლების შედეგების, საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნებას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ფინანსურ დანახარჯებს და სხვა ძირითად კომპონენტებს. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები შეთანხმებული და შეჯერებულია ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით. ბ) უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში, სახელმწიფო
ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია ხარჯების დაფინანსება 22 590 517 ლარის ფარგლებში. აღნიშნული თანხიდან სამეცნიერო კლევით ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკას (მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, რომელიც წარდგენილია 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის სახით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში) მოხმარდება 16 436 327 ლარი, რომელიც 2025 წლის იანვრის თვეში დაზუსტდება ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დამტკიცების შემდეგ. ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს'' - 3 990 000 ლარი. ,,მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის რეგიონალური კვლევით ცენტრს (ჰაბი)'', ,,ქართულ -ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით ცენტრის'' და ,,ქართულ ფრანგული უნივერსიტეტის ''პროექტების დაფინანსება 208 850 ლარი, (ABET) კომპიუტერული მეცნიერებების, (ABET) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის და (ACS) ქიმიის პროგრამების დაფინანსებისათვის და სხვადასხვა პროექტების დაფინანსება-598740 ლარი. ,,სკოლისშემდგომი განათლების მომზადების პროგრამა''-56600 ლარი. გ) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და
საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი
2025 წლის ბიუჯეტში შეადგენს შესაბამისად 9 750 500 ლარს და 2 391 000 ლარს.
უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი მტკიცდება დანართი 1-ის (დასამტკიცებელი)-Sheet ის მიხედვით, რასაც საფუძვლად უდევს თითოეული პროგრამების, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწერილი ხარჯები.

კანცლერის გამოსვლის შემდეგ დისკუსია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ასევე სხდომაზე დამსწრე პირები, რის შემდეგაც წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საკითხი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ დასვა კენჭისყრაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართული სახით (დანართი 7);

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №84/2024 დადგენილება. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება შევიდა ცენტრის სახელწოდებაში და დაკორექტირდა დებულების შესაბამისი მუხლები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №84/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 8);

6. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური

საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის №107/2024 დადგენილება. მომხსენებელმა ისაუბრა დებულებაში განხორციელებული ცვლილების ირგვლივ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის №107/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 9);

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის № 42/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის № 130/2024 დადგენილება. მომხსენებელმა ისაუბრა ინსტიტუტის მართვისა და სტრუქტურაში განსახორციელებელ ცვლილებებზე, რის შემდეგაც საკითხი დაისვა კენჭისყრაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის № 42/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის № 130/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 10);

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური

პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის № 112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №142/2024 დადგენილება.
საკითხის მომხსენებლებმა ისაუბრეს დოკუმენტში განსახორციელებელ ცვლილებებზე ფაკულტეტების მიხედვით.
საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია. მომხსენებლებმა უპასუხეს დასმულ შეკითხვებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის № 112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №142/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 11);
9. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის № 49/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 143/2024 დადგენილება. მომხსენებელმა ისაუბრა საკითხის ირგვლივ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის № 49/2013 დადგენილების

ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 143/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 12);

10. კანცლერის მიერ, წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან თანხმობის მისაღებად წარმოდგენილი იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომში განკარგვის (უტილიზაციის) საკითხი.
აღინიშნა, რომ ამ მიზნით შედგენილ იქნა მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის დოკუმენტაცია. დადგენილ იქნა ჩამოსაწერი აქტივების საერთო რაოდენობა 4193 ერთეული, ღირებულებით - 249192,1 ლარი (მ.შ. 1263 ერთეული 49426,55 ლარის ღირებულების აქტივები შეძენილია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო 2930 ერთეული 199765,55 ლარის აქტივები კი - უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით). მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ჩამოსაწერი ქონება არის საოფისე და სამეურნეო ინვენტარი და მათი ჩამოწერის შემდეგ, მთლიანად უნდა მოხდეს მათი უტილიზაცია (განადგურება).

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერაზე, შემდგომში დადგენილი წესით მისი განკარგვის (უტილიზაციის) მიზნით (დანართი 13);

11.როგორც თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, სს “თელასის“ მიერ დამულია საკითხი რიგი ტრანსფორმატორების მათთვის გადაცემის თაობაზე, კერძოდ, ა) ითხოვენ უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ #A-1077 სატრანსფორმატორო ქვესადგურის გამიჯვნას (მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად), რათა შემდგომში მოხდეს მისი ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია, შესაბამისად უნდა მოხდეს უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ბ)ითხოვენ უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში ანა პოლიტოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურის გამიჯვნას, რათა შემდგომში მოხდეს მისი ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია, შესაბამისად უნდა მოხდეს უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღინიშნა, რომ ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ქმედებების, როგორც ტექნიკურის (გამიჯვნის ნახაზები, შეთანხმებები სათანადო უწყებებთან და ა.შ.), ასევე ფინანსურის განხორციელებას უზრუნველყოფს სს „თელასს“.
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 05.02.2024წ. #5/5829 წერილით გამოხატული პოზიციის თანახმად და იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი გარკვეულ თანხებს ხარჯავს ტრანსფორმატორების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და მათი გადაცემა შეამცირებს უნივერსიტეტის ხარჯებს ამ ნაწილში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 19.12.2024წ. კ/ნ N34496/10 - 23.12.2024წ.) მიერ მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება, ზემოაღნიშნული სატრანსფორმატორო ქვესადგურების სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაცემის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.005.057) განთავსებული #A-1077 და უნივერსიტეტის სარგებლობაში გადმოცემულ, ქ. თბილისში ანა პოლიტოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.006.117) განთავსებული #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურების კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად გამიჯვნის, შემდგომში მათი ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაციასა და უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმებაზე მათი სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაცემის მიზნით (დანართი 14);

12. როგორც კანცლერმა საკითხის განხილვისას განმარტა, კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (ს/კ 01.13.02.009.015 შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად) ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციაზე და მისი სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ.
ამ შემთხვევაშიც, ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ქმედებების, როგორც ტექნიკურის (გამიჯვნის ნახაზები, შეთანხმებები სათანადო უწყებებთან და ა.შ.),

ასევე ფინანსურის განხორციელებას უზრუნველყოფს სს „თელასს“. ეს საკითხიც ანალოგიური საფუძვლებით დადებითადაა გადაწყვეტილი შესაბამისი კომისიის მიერ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (ს/კ 01.13.02.009.015 შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად) ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციაზე და მისი სს „თელასისათვის“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთრების უფლებით გადაცემაზე (დანართი 15);

13. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის წინაშე შპს „დოტ77“-ის მიერ დასმულია საკითხი მე 11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გაცემის და მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის თაობაზე.
დამოუკიდებელი შემფასებლის შეფასების ანგარიშის მიხედვით 1კვ.მ ფართის ღირებულება აღნიშნულ ლოკაციაზე შეადგენს 2 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.
ამასთან, მითითებული ფართი მთლიანად სარემონტოა და იჯარით აღების მსურველის მიერ გამოთქმულია დასტური იმისა, რომ უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოახდენს ფართის რემონტს და რეაბილიტაციას.
საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 19.12.2024წ. კ/ნ N34496/10 - 23.12.2024წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება. შესაბამისად, საკითხი წარმოდგენილია სენატის წინაშე თანხმობის მისაღებად.
საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია. მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 2

კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა წარმომადგენლობითი საბჭოს 2 (ორმა) წევრმა.

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) დადგენილი წესით გადაცემაზე, მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის მიზნით, (დანართი 16);

14. როგორ კანცლერმა, ლაშა საღინაძემ აღნიშნა, ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის შენობაში (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. 10) ამჟამად მიმდინარეობს შენობის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები და შენობა საჭიროებს იქ განთავსებული მანქანა-დანადგარებისაგან განთავისუფლებას.
აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას" წინაშე დასმული იქნა საკითხი უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხის 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხის 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი), რომლებიც განთავსებულნი არიან აღნიშნულ შენობაში და ამჟამად უნივერსიტეტისათვის გამოუყენებელია, მათთვის გადაცემის თაობაზე, მათ დააფიქსირეს დადებითი პოზიცია ჩარხების გადაცემის თაობაზე, ასევე ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტმა გამოხატა წერილობითი თანხმობა,
საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის (ოქმი 19.12.2024წ. კ/ნ N34496/10 - 23.12.2024წ.) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. N10) შენობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხის 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხის 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი)

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტასათვის" გადაცემის მიზნით, დადგენილი წესით (დანართი 17);

15. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მ.წ. 10 აპრილის #10095/10 წერილით უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია დასაწყობებული საქმის წარმოებით დასრულებული საარქივო და სხვა გამოუყენებელი დოკუმენტების, რომელთაც ამოწურული აქვთ კანონით დადგენილი შენახვის ვადა (მაკულატურა), არსებობის და რაოდენობის თაობაზე.
წარმოდგენილი წერილებით ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით ასეთი მასალების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 11 ტონას.
საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება 11 ტ მაკულატურის რეალიზების თაობაზე. შესაბამისად, საკითხი წარმოდგენილია სენატის წინაშე თანხმობის მისაღებად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მაკულატურის (დაახლოებით 11 ტონა) რეალიზების თაობაზე, დადგენილი წესით (დანართი 18).

16. საკითხის ინიციატორმა კიდევ ერთხელ ისაუბრა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობაზე.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხი სამართლებრივი ხასიათისაა და საქმეში იურისტები უნდა ჩაერთონ.
ამასთან, დაისვა შეკითხვა, რამდენად აქვს კომპეტენცია სენატს ჩაერიოს მსგავსი ხასიათის საკითხებში?!
ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ საკითხი დაისვა კენჭისყრაზე.

უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია შექმნას კონკრეტული საკითხების შემსწავლელი კომისიები და/ან სამუშაო ჯგუფები, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მონაწილეობით სრული შემადგენლობის უმრავლესობით (ანუ სენატის 39 წევრის გადაწყვეტილებით).
იმის გათვალისწინებით, რომ საკითხის განხილვამდე და საკითხის განხილვის მიმდინარეობისას ანუ აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის პროცედურამდე

წარმომადგენლობითი საბჭოს არაერთმა წევრმა დატოვა სხდომის დარბაზი, ამასთან კენჭისყრაში დადებითი პოზიცია დააფიქსირა სენატის 23 (ოცდასამი) წევრმა, ხოლო წინააღმდეგ ხმა მისცა სენატის 6 (ექვსმა) წევრმა, საკითხზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული.

სენატის სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2024 წლის 27 დეკემბერი, #6 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -

2. მიხეილ ჩიკვილაძე -

3. ნინო ფარესაშვილი -

4. ლელა ზახტაძე -

5. მარიანა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ხეშიერიძე -

2. სანა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე -

6. ლიკა წერეთელი-

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა შურღაიძე-

სტუდენტები:

1. ანა მოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვახტანგ ბერიძე- ს. ქართველი

4. დავით შუბითიძე-

იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. მარიანა გარაშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუნანიშვილი- ქ. ფოთი

სტუდენტები:

1. ზარზარა მახარაძე-

2. სანა ცვეთაძე-

3. თამარ ჯიბუტიძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ხათუნა მარსაგიშვილი-

2. ნათია სვანიძე- ნ. სვანიძე

3. ავთანდილ ტუსკაძე- ა. ტუსკაძე

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი- ა. გაბაშვილი

2. ანა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ გამსახურდია- ვ. გამსახურდია

2. ირაკლი ბეჟუაშვილი- ი. ბეჟუაშვილი

სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე ძამაგეიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზეურან ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი ბატარაია-

სტუდენტები:

1. ახვრაფ მაკკი ელკანლიფა მოჰამედ-

2. ანა ფაშვევა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ მჟავანაძე-

4. მანანა ოჭხიკიძელი

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ირმა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არჭანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. გიორგი ლაბაძე -

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პაველიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ცოტნე ხუციძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი- ს. ხუციშვილი

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ხემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამარა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ჩიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკატერინე კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვეფხია გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომსაძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

ოთარ შავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია

დანართი 2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია

(2024 წლის 27 დეკემბერი, N6 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -
2. აბაშიძე ზურაბ -
3. ამირხანაშვილი ივანე -
4. ბაქრაძე თეიმურაზ -
5. ბახტაძე მიხეილ -
6. გაგოშიძე თამარ -
7. გავაშელი ცისმარი -
8. გონაშვილი ვასილ -
9. გუჯეჯიანი როზეტა -
10. დვალიძე ირაკლი -
11. ეფრემიძე ლაშა -
12. ვეფხვაძე თამარ -
13. ზოიძე თამარ -
14. თოთლაძე ლია -
15. ლომინაძე გიორგი -
16. მაღრაძე ვახტანგ -
17. მაჭავარიანი მარინე -
18. ნადარაია ელიზბარ -
19. საბაური ლევან -

20. სადრაძე ნინო -

21. ფურთუხია ომარ -

22. ქიტიაშვილი ზაქარია -

23. ქოიავა კახაბერ -

24. ქუთელია გურამ -

25. ქურდაძე რამაზ -

26. შალიკაშვილი მორის -

27. შარაშიძე ნინო -

28. შენგელაია ალექსანდრე -

29. შენგელია თემურ -

30. ჩიტაშვილი მარინე -

31. ცისკარიძე ალექსანდრე -

32. ცხადაძე ედიშერ -

33. ძაგანია მაია -

34. წერეთელი მარი -

35. ხარაიშვილი ეთერ -

36. ხოდელი ნოდარ -

37. ხუციშვილი ქეთევან -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა განცხადება

2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	10.670	0	10.670	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 02 13	ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი	736.000	0	736.000	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	65	0	65	0
2	ხარჯები	686.000	0	686.000	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	587.000	0	587.000	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	99.000	0	99.000	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.000	0	50.000	0
01 05 02 14	თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი	338.400	0	338.400	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	30	0	30	0
2	ხარჯები	338.400	0	338.400	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	291.200	0	291.200	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	45.900	0	45.900	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0

2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	1.300	0	1.300	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 02 15	პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი	545.420	0	545.420	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	51	0	51	0
2	ხარჯები	545.420	0	545.420	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	532.250	0	532.250	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	12.000	0	12.000	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	1.170	0	1.170	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 02 16	მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	660.540	0	660.540	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	36	0	36	0
2	ხარჯები	660.540	0	660.540	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	445.030	0	445.030	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	215.510	0	215.510	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 02 17	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი	711.000	0	711.000	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	63	0	63	0
2	ხარჯები	711.000	0	711.000	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	580.920	0	580.920	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	123.480	0	123.480	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0

2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	6.600	0	6.600	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 04	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	600.000	600.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	600.000	600.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	150.000	150.000	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	450.000	450.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 04 01	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობა	150.000	150.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	150.000	150.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	150.000	150.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 04 02	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა	150.000	150.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	150.000	150.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	150.000	150.000	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	0	0	0	0

2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 04 03	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ჟურნალების განვითარების ხელშეწყობა	300.000	300.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	300.000	300.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	300.000	300.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 05	დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	100.000	100.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	100.000	100.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	50.000	50.000	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	50.000	50.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 05 06	პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	100.000	100.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0

2	ხარჯები	100.000	100.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	50.000	50.000	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	50.000	50.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 06	პროფესიული განათლების განვითარება	1.700.000	1.700.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	1.616.000	1.616.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	630.000	630.000	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	951.000	951.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	35.000	35.000	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	84.000	84.000	0	0
01 07	კულტურა და სპორტი (01 07 01+01 07 02+01 07 03)	1.635.000	1.635.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	1.490.000	1.490.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	740.000	740.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	750.000	750.000	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	145.000	145.000	0	0

01 07 01	კულტურის ხელშეწყობა	350.000	350.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	255.000	255.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	255.000	255.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	95.000	95.000	0	0
01 07 02	სპორტის ხელშეწყობა	1.285.000	1.285.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	1.235.000	1.235.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	485.000	485.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	750.000	750.000	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.000	50.000	0	0
01 08	საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	750.000	750.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	250.000	250.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	250.000	250.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0

31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	500.000	500.000	0	0
01 09	ინფრასტრუქტურის განვითარება (01 09 01+01 09 02)	7.115.750	5.815.750	1.300.000	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	3.380.000	3.380.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	3.380.000	3.380.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.735.750	2.435.750	1.300.000	0
01 09 01	შენობა ნაგებობების რეაბილიტაცია	5.880.000	5.080.000	800.000	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	3.080.000	3.080.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	3.080.000	3.080.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.800.000	2.000.000	800.000	0
31.1.	ძირითადი აქტივები	2.800.000	2.000.000	800.000	0
01 09 02	მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარება	1.235.750	735.750	500.000	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	300.000	300.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	300.000	300.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0

2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	935.750	435.750	500.000	0
01 10	განათლების ხარისხის განვითარება	620.000	620.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	620.000	620.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	370.000	370.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	250.000	250.000	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 10 01	განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა	270.000	270.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	270.000	270.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	20.000	20.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	250.000	250.000	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 10 02	სახელმძღვანელოების შექმნის პროგრამა	350.000	350.000	0	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	350.000	350.000	0	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	350.000	350.000	0	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0

2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
01 11	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა პროექტების ხელშეწყობა	864.190	0	864.190	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	7	0	7	0
2	ხარჯები	856.190	0	856.190	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	69.000	0	69.000	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	658.650	0	658.650	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	90.740	0	90.740	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	37.800	0	37.800	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.000	0	8.000	0
01 11 1	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა პროექტების საბიუჯეტო დაფინანსება (მეცნიიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონალური საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრი (ჰაბი), ქართულ -ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის პროექტი და სხვა)	208.850	0	208.850	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	7	0	7	0
2	ხარჯები	208.850	0	208.850	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	69.000	0	69.000	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	139.850	0	139.850	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0

01 11 2	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები	598.740	0	598.740	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	590.740	0	590.740	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	500.000	0	500.000	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	90.740	0	90.740	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	0	0	0	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.000	0	8.000	0
01 11 3	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ საბიუჯეტო დაფინანსება (სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა)	56.600	0	56.600	0
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0
2	ხარჯები	56.600	0	56.600	0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0
2.2.	საქონელი და მომსახურება	18.800	0	18.800	0
2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	0	0	0	0
2.4.	პროცენტი	0	0	0	0
2.5.	სუბსიდიები	0	0	0	0
2.6.	გრანტები	0	0	0	0
2.7.	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
2.8.	სხვა ხარჯები	37.800	0	37.800	0
31.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 34927/10

25.12.2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

დასამტკიცებლად გიგზავნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტს და განმარტებით ბარათს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის

განმარტებითი ბარათი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია: ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'', ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის პროექტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის'', ,,პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის,'' უნივერსიტეტის წესდების, ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის'' და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის 2025 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების, სტუდენტთა ხელშეწყობის, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტკიცების, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლების, ინფრასტრუქტურული პროექტების, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის, სახელმძღვანელოების შექმნისათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

2025 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.

უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა 127 702 098 ლარით.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს (ხარჯებს) იგი გაწერილია პროგრამების მიხედვით:

პროგრამული კოდი (01-01)-უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება”-თანხით -27 072 873 ლარი; აღსანიშნავია ის გარემოება რომ ეს კოდი ჩაიშალა ქვეპროგრამების მიხედვით. კერძოდ; ადმინისტრირება (010101), საბიბლიოთეკო რესურსები (010102), საგამომცემლო საქმიანობა (010103), საზოგადოებასთან ურთიერთობა (010104), ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა (010105), უწყვეტი განათლება (010106), გამოცდების ორგანიზება (010107), ინოვაციების ხელშეწყობა (010108), სტუდენტური კაფეტერია (010109), შესრულებული სამუშაოს ფარგლებში, მიღებული შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები (010110);

პროგრამული კოდი (01-02)- **,,ფაკულტეტები”- 44 311 372 ლარი;**

პროგრამული კოდი (01-03)-,,ენების შემსწავლელი ცენტრი” -2 758 720 ლარი;

პროგრამული კოდი (01-04)-,,სტუდენტთა ხელშეწყობა”-5 780 000 ლარი ;

პროგრამული კოდი (01-05)-,,მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსება” -30 687 827 ლარი; აღნიშნული კოდის ქვეკოდიც (010504)-,,აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა”-600000 ლარით, ჩაიშალა 3 კოდათ. (01050401) ,,აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობა”-150000 ლარი, (01050402),,აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა”-150000 ლარი, (01050403)-,,აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ჟურნალების განვითარების ხელშწყობა“-300000 ლარი.

პროგრამული კოდი (01-06)-,,პროფესიული განათლების განვითარება” - 1 700 000 ლარი;

პროგრამული კოდი (01-07)- ,,კულტურა და სპორტი” -1 635 000 ლარი;

პროგრამული კოდი (01-08) ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება“ - 750 000 ლარი;

პროგრამული კოდი (01-09) ,,ინფრასტრუქტურის განვითარება” -7 115 750 ლარი;,

პროგრამული კოდი (01-10) ,,განათლების ხარისხის განვითარება” -620 000 ლარი.

პროგრამული კოდი (01-11)-,, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა პროექტების ხელშეწყობა”-864 190 ლარი.

ზემოაღნიშნული პროგრამების მიხედვით გასაწევი ხარჯებმა შეადგენა სულ- 123 295 732 ლარი.

2025 წლის ბიუჯეტში: ა) საკუთარი სახსრებით მისაღები შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით შეადგენს 88 643 505 ლარს, ხოლო გასაწევი ხარჯები 88 563 715 ლარს. როგორც 2024 წლის ბიუჯეტი ასევე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტიც ასევე დეფიციტურია.

პროექტი გაანგარიშებულია და გაწერილია, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. მონაცემები ეყრდნობა: უნივერსიტეტის წინა წლების ბიუჯეტების შესრულების ანალიზს, საბიუჯეტო წლის მოსალოდნელი შემოსავლების შედეგების, საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნებას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ფინანსურ დანახარჯებს და სხვა ძირითად კომპონენტებს. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები შეთანხმებული და შეჯერებულია ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით.

ბ) უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია ხარჯების დაფინანსება 22 590 517 ლარის

ფარგლებში. აღნიშნული თანხიდან სამეცნიერო კლევით ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკას (მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, რომელიც წარდგენილია 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის სახით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში) მოხმარდება 16 436 327 ლარი, რომელიც 2025 წლის იანვრის თვეში დაზუსტდება ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დამტკიცების შემდეგ. ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს'' - 3 990 000 ლარი. ,,მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის რეგიონალური კვლევით ცენტრს (ჰაბი)'', ,,ქართულ -ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით ცენტრის'' და ,,ქართულ ფრანგული უნივერსიტეტის ''პროექტების დაფინანსება 208 850 ლარი, (ABET) კომპიუტერული მეცნიერებების, (ABET) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის და (ACS) ქიმიის პროგრამების დაფინანსებისათვის და სხვადასხვა პროექტების დაფინანსება-598740 ლარი. ,,სკოლისშემდგომი განათლების მომზადების პროგრამა''-56600 ლარი.

გ) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი 2025 წლის ბიუჯეტში შეადგენს შესაბამისად 9 750 500 ლარს და 2 391 000 ლარს.

უნივერსიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი მტკიცდება დანართი 1-ის (დასამტკიცებელი)-Sheet ის მიხედვით, რასაც საფუძვლად უდევს თითოეული პროგრამების, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწერილი ხარჯები.

პროგრამული ბიუჯეტი

დანართი 2

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 01) - უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება

პროგრამის აღწერა და მიზანი - უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაბამისად მთლიანადაა ორიენტირებული სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის შესაბამისი თანხებია გამოყოფილი, როგორც პერსონალის ანაზღაურების, საქონლის შესყიდვის, ჯანმრთელობის დაზღვევის, დაცვის მომსახურების, სხვადასხვა სახის გადასახადებისა და გადასახდელების ხარჯების დასაფინანსებლად.

ზემოაღნიშნული კოდი მოიცავს ადმინისტრირების, საბიბლიოთეკო რესურსების, საგამომცემლო საქმიანობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის, უწყვეტი განათლების, გამოცდების ორგანიზების, ინოვაციების ხელშეწყობის, სტუდენტური კაფეტერიის, შესრულებული სამუშაოს ფარგლებში, მიღებული შემოსავლებით გაწეული ხარჯებს.

მოსალოდნელი შედეგი: უნივერსიტეტის სწორად წარმართული საგანმანათლებლო პოლიტიკა და მისი ადმინისტრირება ხელს შეუწყობს, სტუდენტების სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოტივაციის ამაღლებას, შედეგზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მოდერნიზაციას, უნივერსიტეტის მდგრად სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 02) - ფაკულტეტები

პროგრამის აღწერა და მიზანი - ფაკულტეტებზე მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი სწავლების და სადოქტორო პროგრამები. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით. პროგრამის მიზანია, ადამიანური და მატერიალურ- ტექნიკური რესურსების ეფექტიანი მართვის გზით, უზრუნველყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდა, საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარება და განახლება.

მოსალოდნელი შედეგი - სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განვითარება, რომელიც აისახება სწავლების შედეგებზე უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, კვლევებისა და ინოვაციების მიღწევებზე, მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებაზე, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაზე, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 03) - ენების შემსწავლელი ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი - უცხო ენების სწავლის დონის ამაღლება და სტუდენტებისათვის ენების სწავლების მაღალი ხარისხის შეთავაზება, ენების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მიზანია. ცენტრი, სწავლების თანამედროვე სტანდარტების გამოყენებით ემსახურება ყველა ფაკულტეტის სტუდენტებს, იმ კრედიტების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია მათი სასწავლო პროგრამით, მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე და საჭიროებებზე, რათა მათ აიმაღლონ უცხო ენების ცოდნა და კვალიფიკაცია.
მოსალოდნელი შედეგი - სტუდენტები, უშუალოდ, სპეციალობასთან ერთად მიიღებენ მაღალი დონის უცხო ენების ცოდნას, რომლითაც შესაძლებელი გახდება, უცხოურ ენაზე არსებული სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოყენება. უზრუნველყოფს მათ სწავლების თანამდეროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნით საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვადასხვა სახის აქტიობებში აქტიურ ჩართვას. სტუდენტებს მოამზადებს საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებისათვის. ხელს შეუწყობს ენების სწავლების კუთხით, სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების მუდმივ განახლებას.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 04) - სტუდენტთა ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა და მიზანი - უნივერსიტეტში დიდიეთმობა ყურადღება სტუდენტური ცხოვრებისა და მომსახურების სერვისების განვითარებას, ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. კერძოდ, წარჩინებულ სტუდენტებს უფინანსდებათ სწავლის გადასახადი, გარდა ამისა, წარჩინებული სტუდენტები ღებულობენ სახელმწიფო თუ სხვა სტიპენდიებს. დოქტორანტები სარგებლობენ სწავლის გადასახადის შეღავათით. სტუდენტები ჩართულნი არიან სამეცნიერო - კვლევით, საგანმანათლებლო, საქმიანობაში და აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში. ინოვაციური იდეის მქონე

სტუდენტებს საშუალება აქვთ განავითარონ საკუთარი ბიზნეს გეგმები. გარდა ამისა, სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საერთო საცხოვრებლებით.

მოსალოდნელი შედეგი - სტუდენტური ინიციატივების, პროექტების და ინოვაციური იდეების განხორციელების ფინანსური მხარდაჭერით, გაიზრდება სტუდენტების მოტივაცია შედეგზე ორიენტირებულ სწავლებასა და სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაზე, რაც უზრუნველყოფს მათი ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლებას. ინოვაციების ხელშემწყობი ინფრსტრუქტურისა და სტარტაფების განვითარებას.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01-05) - მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსება

პროგრამის აღწერა და მიზანი - უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოძიებას, მეცნიერული კვლევებისათვის შედეგზე ორიენტირებული პირობების შექმნას, სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას და ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას, სამეცნიერო პროექტების, სტატიების გამოქვეყნების, სამეცნიერო ჟურნალების განვითარების ხელშეწყობას. უნივერსიტეტში, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პროექტების ხელშეწყობის დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, გრანტები, უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლები.
აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა და მისი ინტეგრირება სასწავლო პროცესთან. სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე გამოყენებითი და ტექნოლოგიური კვლევების გაღრმავება. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტიმულირება, კვლევების პრიორიტეტულ მიმართულებებზე რესურსების მობილიზება, კვლევითი საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაღრმავება.

მოსალოდნელი შედეგი - ამაღლდება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის საბოლოო შედეგი. მეცნიერების მიერ შექმნილ პროდუქციას გამოყენებითი ხასიათი მიეცემა. გაიზრდება უნივერსიტეტის კვლევის ეფექტიანობა. გაძლიერდება საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტები. აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის ადგილი და როლი. სასწავლო საქმიანობაში კვლევებით მიღებული შედეგების ინტეგრირება განაპირობებს სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების დახვეწას.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 06)- პროფესიული განათლება

პროგრამის აღწერა და მიზანი - უკანასკნელ წლებში უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას. მოქმედებს რამოდენიმე პროფესიული პროგრამა. რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით. კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება და მათი გამოყენება წარმოების და მომსახურების სფეროებში. აღნიშნულის საფუძველზე დამსაქმებლები მიიღებენ შრომის ბაზრის შესაბამისად მომზადებულ კომპეტენტურ კადრებს, ხოლო კურსდამთავრებულები გრძელვადიანად დასაქმდებიან მაღალ ანაზღაურებად პოზიციებზე.

მოსალოდნელი შედეგი - უნივერსიტეტში, პროფესიული დარგით მომზადებულ კადრებს შეექმნებათ დასაქმების შესაძლებლობა და ისინი სრულფასოვან კონკურენციას გაუწევენ ამ კუთხით ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, პროფესიული განათლება გახდება სტუდენტების დასაქმების ხელშემწყობი მიმზიდველი საგანმანათლებლო ალტერნატივა.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 07) - კულტურა და სპორტი

პროგრამის აღწერა და მიზანი - უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული მრავალასპექტიანი საქმიანობა ხორციელდება. თვალსაჩინოა უნივერსიტეტის სტუდენტების მიღწევები სპორტისა და კულტურის სფეროში. მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს ქვეყნისა თუ საერთაშორისო დონეზე. სპორტისა და კულტურის განვითარების მიზანია სტუდენტების ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესში და კულტურული საქმიანობის განვითრება. შიდა საუნივერსიტეტო და ქვეყნის მაშტაბით კულტურულ და სპორტული ღონისძიებების გამართვა და მეტი სტუდენტების მოზიდავა ამ სფეროში.

მოსალოდნელი შედეგი - მიღწეული წარმატებების ფონზე კიდევ უფრო გაიზრდება სტუდენტების მონაწილეობა სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში და ისინი, სასწავლო პროცესთან ერთად, მაქსიმალურად იქნებიან ჩართულები სპორტულ თუ კულტურულ წრეებში, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ თავი წარმოაჩინონ, როგორც ქვეყნის ასვე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 08) - საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

პროგრამის აღწერა და მიზანი - უნივერსიტეტი სათანადოთაა უზრუნველყოფილი სასწავლო, საფინანსო, სტუდენტური ბაზებით. შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა, დანერგილია ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები, არსებობს მათი მუდმივი განვითარების მექანიზმი. აღნიშნულმა შესაძლებლობა მოგვცა პანდემიის პირობებში დისტანციურად წაგვემართა, როგორც სასწავლო პროცესი, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა.

მოსალოდნელი შედეგი - განხორციელდება კომპიუტერული და სპეციალური ტექნიკის ეტაპობრივი ცვლა, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგავა, უწყვეტი ქსელური კავშირების უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 09) - ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის აღწერა და მიზანი

უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის განახლება- განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ბოლო წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები იქნა მოზიდული და დახარჯული. პროგრამის მიზანია რეაბილიტირებულ იქნეს სასწავლო კორპუსები, კეთილმოეწყოს საწავლო აუდიტორიები და სტუდენტური სივრცეები, ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნას სათანადო აღჭურვილობა და ხელსაწყოები.

მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა. სტუდენტური სივრცეების, აუდიტორიების, კაბინეტების, სასწავლო ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის აღჭურვა თანამდროვე ტექნიკით ხელს შეუწყობს, როგორც საგანმანათლებლო-სასწავლო, ისე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 10) - განათლების ხარისხის განვითარება

პროგრამის აღწერა და მიზანი - განათლების ხარისხის განვითარების პროგრამა მოიცავს ორი ძირითადი მიმართულების დაფინანსებას. კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო, დიპლომირებულ მედიკოს /სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, ქართულ ენაში მომზადების, პროფესიული, უწყვეტი განათლების და მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებელთა მომზადების (60 კრედიტიანი) პროგრამების აკრედიტაციის და უნივერსიტეტის ავტორიზაციის საფასურის გადახდას, უნივერსიტეტის საერთაშორისო შეფასებების უზრუნველყოფას და სახელმძღვანელოების შექმნას. რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი

სახსრები, რაც ხმარდება საგანმანათლებლო პროგრამების განახლება-განვითარების და დანერგვის მუდმივმოქმედ პროცესს, უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნას და ახალი სახელმძღვანელოების შექმნას.

მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებული, განახლებული და მოდერნიზებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს: სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან ინტეგრაცია-ინტერნაციონალიზაციას, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას და უნივერსიტეტის ავტორიზაციას, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცეტრის ასევე, აღიარებული უცხოელი ცენტრების და ექსპერტების მიერ; უცხოენოვანი, ორმაგი და ერთობლივი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ხოლო ნათარგმნი, თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოყენება თუ ახალი სახელმძღვანელოების შექმნა სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მშობლიურ ენაზე გაეცნონ მეცნიერებაში არსებულ სიახლეებს, აიმაღლონ პროფესიონალიზმი და პრაქტიკაში გამოიყენონ თეორიული ცოდნა.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 84/2024 16 ივლისი 2024წ.

"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" და „ღ" ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" და „წ" ქვეპუნქტების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის 2024 წლის 26 ივნისის №16786/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №11 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის №27/2019 დადგენილებაში:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი (ჰაბი).“;

გ) დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) დებულება (დანართი №1).“;

დ) დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის – „ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი)“ დებულება

პრეამბულა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული – ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი (ჰაბი) (Academia Europaea Tbilisi Regional Hub) იქმნება დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული საქველმოქმედო, არასამთავრობო ქსელური ორგანიზაციის – ევროპის აკადემიისა (Academia Europaea) და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი მხარდაჭერით.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი (ჰაბი) იზიარებს ევროპის აკადემიის ხედვას, რომ საზოგადოებისთვის სარგებლიანობის უზრუნველყოფისა და განათლებისა და მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობის გაზრდის მიზნით მეცნიერების ყველა დარგში განავითაროს და განავრცოს სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური ცოდნის უმაღლესი ხარისხის სტანდარტები.

მეცნიერებათა ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი (ჰაბი) საზოგადოებისათვის წარმოადგენს ევროპის აკადემიის რეგიონული ცენტრების ქსელის ნაწილს და ხელს უწყობს მეცნიერების მენეჯმენტში ევროპული მიღწევების გამოყენებას ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის წარმოებისათვის, საერთაშორისო სააგენტოებთან კოორდინირებული მუშაობისთვის, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევების, ცოდნისა და განათლების წახალისებისათვის.

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი/თსუ) დამხმარე სამეცნიერო ერთეულის – ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) (შემდგომში – ცენტრი) სტატუსს, საქმიანობის მიზნებსა და ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვისა და საქმიანობის წესებს.

მუხლი 2. ცენტრის სტატუსი

1. ცენტრი შექმნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბერის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ (შემდგომში – უნივერსიტეტის წესდება) საფუძველზე და წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს.
2. ცენტრი ევროპის აკადემიის რეგიონული ჰაბების ქსელის ერთ-ერთი (მეხუთე) წევრია, იზიარებს ევროპის აკადემიის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს და განავრცობს აკადემიის ქსელის საქმიანობას რეგიონში ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს: სამხრეთ კავკასიას, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, ცენტრალურ და დასავლეთ აზიას

(შემდგომში – რეგიონი).
3. ცენტრი საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების, უნივერსიტეტის წესდების, შესაბამისი შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. ცენტრის მისია, მიზნები და ღირებულებები
1. ცენტრის მისიაა ევროპის აკადემიის ღირებულებებისა და პანევროპული ინტერესების დაცვით რეგიონში უზრუნველყოს მეცნიერული ცოდნის გენერირების, გავრცელების, პოპულარიზაციის ევროპული სტანდარტებისა და მექანიზმების გაზიარება, წაახალისოს მეცნიერების კავშირი ეფექტური საჯარო პოლიტიკის წარმოებასთან და გაზარდოს მეცნიერების მნიშვნელობა და სარგებლიანობა ფართო საზოგადოებისათვის. ცენტრის თემატურ სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრება რეგიონში „მრავალფეროვნების“ სიღრმისეული და ინტერდისციპლინური კვლევის წახალისება და პოპულარიზაცია.
2. ცენტრის მისიის მისაღწევად განისაზღვრება შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:
ა) აკადემიურ და ფართო საზოგადოებაში პანევროპული მეცნიერებისა და კვლევის ღირებულების აღიარებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
ბ) ეროვნული მთავრობებისა და საერთაშორისო სააგენტოებისთვის რეგიონში მიმდინარე მეცნიერების, განათლებისა და აკადემიური თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით, პრიორიტეტული თემის გარშემო, რეკომენდაციების შემუშავება;
გ) მეცნიერების ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი – პანევროპულ საკითხებთან მიმართებაში ინტერდისციპლინური და საერთაშორისო, ასევე ინტერსექტორული თანამშრომლობის წახალისება;
დ) რეგიონთან მიმართებით მეცნიერებასა და კვლევაში ტრანსევროპული მნიშვნელობის საკითხების განსაზღვრა და მათი სამეცნიერო შესწავლისა და გამოკვლევისათვის შესაბამისი აქტივობების ინიცირების მხარდაჭერა.
3. ცენტრი იზიარებს ევროპის აკადემიის ღირებულებებს და ხელს უწყობს უმაღლესი სტანდარტების აღიარებასა და დამკვიდრებას მეცნიერებაში, კვლევასა და განათლებაში, ხაზს უსვამს ცოდნის, შემეცნების, სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობას პოლიტიკის წარმოებისათვის, მათ სარგებლიანობას საზოგადოების კეთილდღეობისთვის, სახელმწიფოებისა და რეგიონის პროგრესული განვითარებისათვის.
4. ცენტრს აქვს მთავარი მიზანი და ქვემიზნები:
ა) ცენტრის მთავარი მიზანია ევროპის აკადემიის ღირებულებების გაზიარებით შექმნას პლატფორმა მულტიდისციპლინური, ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური თანამშრომლობისა და ექსპერტიზის განვითარებისათვის და აქცენტი გააკეთოს რეგიონში „მრავალფეროვნების“ კონცეპტების შესწავლაზე, ცოდნის გაზიარებასა და პოპულარიზაციაზე;
ბ) ცენტრის ქვემიზნებია:
ბ.ა) ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, ცენტრალურ და დასავლეთ აზიის სახელმწიფოების ბიოლოგიური, ბიოკულტურული, კულტურული, ლინგვისტური, ეკოლოგიური და სხვა ტიპის

მრავალფეროვნების საკითხების სამეცნიერო კვლევას, შემეცნებასა და ცოდნის გაზიარებას;
ბ.ბ) ხელი შეუწყოს რეგიონის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემაში პანევროპული თანამშრომლობის გაძლიერებას, ახალი ერთობლივი ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებას;
ბ.გ) ხელი შეუწყოს ევროპის აკადემიაში და ევროპის ახალგაზრდულ აკადემიაში რეგიონის წარმატებულ და გამორჩეულად ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვასა და ინტეგრირებას;
ბ.დ) ხელი შეუწყოს რეგიონის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემის განვითარებას და ფართო საზოგადოებაში წაახალისოს ევროპის აკადემიის ღირებულებებისა და სტანდარტების აღიარება, დამკვიდრება და პოპულარიზაცია;
ბ.ე) წაახალისოს რეგიონის საუკეთესო ხარისხის სამეცნიერო კვლევის შედეგებისა და ცოდნის გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის და გრძელვადიან პერსპექტივაში – ფართო საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

მუხლი 4. ცენტრის საქმიანობა

1. ცენტრის საქმიანობა მოიცავს მეცნიერების ყველა დარგში გამორჩეული ხარისხის, ევროპაში აღიარებული სტანდარტების პოპულარიზაციას და გამოყოფს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:
ა) რეგიონის უნიკალური „მრავალფეროვნების“ სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს ინტერდისციპლინური, ინტერსექტორული და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის გზით;
ბ) რეგიონში არსებული უმაღლესი ხარისხის კვლევების პოპულარიზაციას ევროპასა და მსოფლიოში;
გ) სამეცნიერო და აკადემიურ მოღვაწეობაში თანამშრომლობის გაღრმავებას ერთი მხრივ რეგიონსა და ევროპის მოწინავე მეცნიერებს შორის, ხოლო მეორე მხრივ – დისციპლინებსა და აკადემიურ და არასამეცნიერო სექტორებს შორის.
2. ცენტრის ექსპერტიზა მოიცავს შემდეგ სფეროებს:
ა) ადრეულ ადამიანთა განსახლების პალეოეკოლოგიური სცენარები/განვითარება;
ბ) რეგიონში ადამიანთა მიგრაციის სივრცითი და კულტურული კომპონენტების რეკონსტრუირება;
გ) რეგიონის ბიოგეოგრაფიის დინამიკა, ფაუნისა და ფლორის ცვლა;
დ) რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციური ტექნოლოგიური შესწავლა;
ე) მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია;
ვ) ეთნიკური ჯგუფების ფსიქოლოგია და ეთნიკური ურთიერთობების სოციოლოგია;
ზ) რეგიონის ისტორიულ-კულტურული მონაცემები/ბაზები და ლინგვისტური მრავალფეროვნება;
თ) მიკროორგანიზმების და მათი ვირუსების ბიომრავალფეროვნება; გარემოს და სამედიცინო მიკრობიოლოგია;
ი) ბაქტერიოფაგები როგორც ანტიმიკრობული აგენტები, ფაგოთერაპია.
3. ცენტრის ფუნქციებია:

ა) ევროპის აკადემიაში და ევროპის ახალგაზრდულ აკადემიაში რეგიონის გამორჩეულ მეცნიერთა გაწევრიანების მხარდაჭერა და თანამშრომლური ინიციატივების წახალისება;
ბ) ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარების მხარდამჭერი აქტივობების ინიცირება და განხორციელება, რაც მოიცავს საერთაშორისო კონფერენციების, საზაფხულო სკოლების, საჯარო ლექციებისა და სემინარების, მაღალი დონის საექსპერტო პანელების ორგანიზებას;
გ) მრავალფეროვნების კონცეფციებთან მიმართებაში ექსპერტიზის სფეროებში რეგიონული საექსპერტო ბაზების შექმნის ხელშეწყობა და პანევროპული თანამშრომლობის შესაძლებლობების განვითარების სტრუქტურული პროექტების შემუშავება;
დ) რეგიონში „მრავალფეროვნების“ კონცეფციების კვლევასთან მიმართებით ფონდების მოძიებისა და აკადემიური და არასამეცნიერო სექტორების ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების შემუშავების ხელშეწყობა;
ე) საქართველოს და რეგიონის წამყვანი კვლევითი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ასევე საგანმანათლებლო ცენტრების კავშირების სტიმულირება ევროპის აკადემიის მთლიან ქსელთან და რეგიონულ ცენტრებთან.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის სტრუქტურა ითვალისწინებს: სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში „საბჭო“), აკადემიურ დირექტორს, აღმასრულებელ დირექტორსა და მენეჯერს.
2. ცენტრი საჭიროების შემთხვევაში მოკლევადიანი კონტრაქტით იწვევს დამატებით თანამშრომელს შესაბამისი დროებითი ფუნქციების შესასრულებლად.
3. ცენტრი ფუნქციონირებს უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარების ქვეშ და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან.

მუხლი 6. სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭო

1. ცენტრს ჰყავს სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო), რომლის შემადგენლობასაც 4 წლის ვადითა და როტაციის შესაძლებლობის პრინციპით, მოქმედი საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. საბჭოს წევრები უნდა იყვნენ ევროპის აკადემიის წევრები (MAE) ან ასოცირებული წევრები.
2. საბჭო განიხილავს და წყვეტს ცენტრის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს, მათ შორის, ცენტრის პრიორიტეტებს, სტრატეგიასა და ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს.
3. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში – თავმჯდომარე), რომელსაც ირჩევენ საბჭოს წევრები თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამავე საბჭოს უფლებამოსილების ვადით.
4. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
5. თავმჯდომარე იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომას. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთაგან საბჭო ირჩევს სხდომის მდივანს.

6. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
7. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში.
8. საბჭო უფლებამოსილია სხდომა გამართოს და საკითხები განიხილოს დისტანციური ელექტრონული ან შერეული ფორმატით შემდეგ შემთხვევებში:
ა) თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
ბ) საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით.
9. საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ან შერეული ფორმატით ჩატარების შემთხვევაში:
ა) სხდომის დღის წესრიგის, თარიღის/დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ საინფორმაციო მასალები წინასწარ ეგზავნებათ საბჭოს წევრებს მათ ელექტრონულ ფოსტაზე, გაცნობის მიზნით;
ბ) საბჭოს წევრები ინტერნეტის („ზუმის“ ან სხვა საკომუნიკაციო აპლიკაციის) საშუალებით, ერთდროული წვდომით მონაწილეობენ სხდომაში;
გ) სხდომის ოქმის პროექტი ეგზავნება მონაწილე საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტით;
დ) იმ შემთხვევაში, თუ დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართული საბჭოს მონაწილე რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში;
ე) საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართვის შემდგომ საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 7. აკადემიური დირექტორი

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის აკადემიური დირექტორი, ევროპის აკადემიის წევრი (MAE), რომელსაც ირჩევს სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭო და თანამდებობაზე ნიშნავს და სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციით ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. აკადემიური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს, სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული, საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
3. აკადემიური დირექტორი:
ა) ცენტრის საბჭოსთან კოორდინირებით განსაზღვრავს ცენტრის სტრატეგიას, ხედვას, პრიორიტეტულ თემებსა და ძირითად მიმართულებებს;
ბ) უზრუნველყოფს ცენტრის ხედვის, ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების შეთანხმებას ევროპის აკადემიის მმართველობასთან, რეგიონულ ცენტრებთან და უნივერსიტეტის რექტორთან;

გ) ჩამოყალიბებული სტრატეგიის შესაბამისად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების ფორმირებასა და ევროპის აკადემიის ცენტრალურ მმართველობასთან და უნივერსიტეტის რექტორთან მათ შეთანხმებას;
დ) უზრუნველყოფს ევროპის აკადემიის რეგიონულ ცენტრებთან თანამშრომლობით რეგიონში პარტნიორების ქსელის გაფართოებასა და მათთან ეფექტური კოლაბორაციის წარმოებას;
ე) იწვევს საბჭოს სხდომებს და მონაწილეობს ცენტრის მისიის განხორციელებისათვის საჭირო ახალი ინიციატივების ფორმირებასა და დაგეგმვაში;
ვ) ეწევა ცენტრისთვის საინტერესო დაფინანსების წყაროების გამოვლენასა და ფონდების მოძიებისთვის საჭირო აქტივობებს;
ზ) აღმასრულებელ დირექტორთან თანამშრომლობით გეგმავს ცენტრის ბიუჯეტს და მართებულად საზღვრავს შემოსავლებსა, თუ ხარჯვით ნაწილს;
თ) ცენტრის აღმასრულებელ დირექტორთან თანამშრომლობით ამზადებს და წარუდგენს ცენტრის ერთწლიან ანგარიშს (წელიწადში ერთხელ) ევროპის აკადემიის მმართველობას, რეგიონულ ცენტრებს, ასევე ევროპის აკადემიის საქმიანობის ყოველწლიურ შემაჯამებელ ფორუმს, ცენტრის საბჭოს, უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 8. აღმასრულებელი დირექტორი

1. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც ცენტრის აკადემიური დირექტორის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. აღმასრულებელი დირექტორი:
ა) მონაწილეობს ცენტრის სტრატეგიისა და ხედვის შემუშავებაში;
ბ) ასრულებს საბჭოს მიერ მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესაბამის აქტივობებს;
გ) ამზადებს და აკადემიურ დირექტორსა და ცენტრის საბჭოს წარუდგენს სტრატეგიის შესაბამისად შემუშავებულ დეტალურ სამოქმედო გეგმას. საჭიროების შემთხვევაში აკორექტირებს გეგმას ცენტრის აკადემიურ დირექტორთან და საბჭოსთან შეთანხმებით;
დ) აკადემიურ დირექტორთან ერთად გეგმავს ცენტრის ბიუჯეტს, მართებულად საზღვრავს შემოსავლებსა და ხარჯვით ნაწილს და ათანხმებს ცენტრის საბჭოსთან, უნივერსიტეტის რექტორთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;
ე) მონიტორინგს უწევს, აფასებს და აანალიზებს ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა, თუ ბიუჯეტის ხარჯვის პროცესს;
ვ) იდენტიფიკაციას უწევს ცენტრის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს და დროულად ატყობინებს მათ შესახებ აკადემიურ დირექტორს, უნივერსიტეტის რექტორსა და ცენტრის საბჭოს. მონაწილეობს პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტის გზების შემუშავებასა და მათ აღმოფხვრაში;
ზ) აკადემიურ დირექტორთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს პარტნიორების ქსელის გაფართოებასა და მათთან ეფექტურ კომუნიკაციას;
თ) დირექტორთან შეთანხმებით უწევს ადმინისტრირებას მოძიებული ფინანსური

რესურსების მიზნობრივად ხარჯვას;
ი) აკადემიურ დირექტორთან თანამშრომლობით ამზადებს და წარუდგენს ცენტრის ერთწლიან ანგარიშს (წელიწადში ერთხელ) ევროპის აკადემიის მმართველობას, რეგიონულ ცენტრებს, ასევე ევროპის აკადემიის საქმიანობის ყოველწლიურ შემაჯამებელ ფორუმს, ცენტრის საბჭოს, უნივერსიტეტის რექტორს;
კ) კოორდინაციას უწევს და პირდაპირ მონაწილეობს ცენტრის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მართვის პროცესში;
ლ) გეგმავს და ახორციელებს ცენტრის კომუნიკაციის სტრატეგიას და მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან და ევროპული აკადემიის კომუნიკაციის სამსახურთან ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობების ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.
3. ცენტრის საშტატო ერთეულით განსაზღვრულ მესამე თანამშრომელს – მენეჯერი, აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 9. ცენტრის ქონება
თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი შესაბამისი ქონებით.

მუხლი 10. ცენტრის ფინანსები
ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მიზნობრივი დაფინანსება (სახელფასო ფონდი, სამივლინებო ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, საწევრო გადასახადები და სხვადასხვა ხარჯები) ფუნქციონირების ოთხი წლის განმავლობაში;
ბ) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული, ოთხი წლის განმავლობაში ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, კომუნალური და საკომუნიკაციო, ასევე საოფისე ფართის მოწყობისა და კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფის მიზნობრივი თანხები;
გ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
დ) მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისთვის განკუთვნილი შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავლები;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 11. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

N 25707/10
02.10.2024

25707-10-3-202410021059

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №84/2024 დადგენილებას.

დანართი: 11 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 107/2024 9 სექტემბერი 2024 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ²“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2024 წლის 4 სექტემბრის №22806/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის №13 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ“ ქვეპუნქტი:

„ა.დ) სმარტ-ედმ ლაბორატორია.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 25708/10
02.10.2024

25708-10-3-202410021102

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^{2}“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის №107/2024 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 130/2024 28 ნოემბერი 2024წ.

"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის N42/2017 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის 2024 წლის პირველი ნოემბრის №29321/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის №18 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის N42/2017 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ინსტიტუტის მართვა და სტრუქტურა

1. ინსტიტუტის მართვას ახორციელებენ: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და სამეცნიერო ერთეულებისაგან.

2. ინსტიტუტის სტრუქტურა ყალიბდება და იცვლება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუტის მიზნების, ამოცანების, ფუნქციების, შესაძლო დაფინანსებისა და საქმიანობის შესაბამისად. ინსტიტუტის სტრუქტურას ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) გამოყენებითი ქიმიის განყოფილება;
ბ) ფუნდამენტური კვლევებისა და კომპოზიციური მასალების სინთეზის განყოფილება;
გ) კოორდინაციული ნაერთებისა და სორბციულ-კატალიზური პროცესების განყოფილება;
დ) მაღალი ენერგიების ქიმიის განყოფილება;
ე) ფიზიკურ-ქიმიური კვლევისა და ანალიზის განყოფილება.“;

ბ) მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ცვლილებების შესახებ ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 თებერვალს.
6. ინსტიტუტის სტრუქტურული ცვლილებების შედეგად შექმნილი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების კანონმდებლობით დადგენილი კონკურსის წესით, დაკომპლექტების მიზნებისათვის დადგენილება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.
7. ინსტიტუტის სტრუქტურული ცვლილებების შედეგად შექმნილი ახალი სამეცნიერო თანამდებობების კანონმდებლობით დადგენილი კონკურსის წესით, დაკომპლექტების მიზნებისათვის დადგენილება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



N 34088/10
18.12.2024

34088-10-3-202412181459

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^{2}“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის № 42/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის № 130/2024 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 142/2024 24 დეკემბერი 2024 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 23 დეკემბრის №34616/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №21 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №1, დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6 და დანართი №7 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6, დანართი №7).

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 – 2^5 პუნქტები:

„2^1. სავალდებულო სასწავლო პედაგოგიური დატვირთვა აკადემიური პერსონალის - პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისათვის, გარდა ამ დადგენილების პირველ პუნქტში მითითებული პედაგოგიური დატვირთვისა, მოიცავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობას (კვირაში 2 საათის შესაბამისი კოეფიციენტირებით).

2^2. იმ შემთხვევაში, თუ პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი არ ხელმძღვანელობს დოქტორანტ(ებ)ს 2^1 პუნქტში მითითებული დატვირთვის შესრულება შეუძლია შემდეგი შინაარსის ალტერნატიული აქტივობებით (შესაბამისი კოეფიციენტირებით): სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ხელძღვანელობა, სასწავლო კურსის სახელმძღვანელოს/რიდერის შექმნა; უნივერსიტეტის აკადემიური/წარმომადგენლობითი/სადისერტაციო და ფაკულტეტის საბჭოს წევრობა; პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა/კოორდინატორობა; საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრობა; სტუდენტის კონფერენციისათვის მომზადება, სტუდენტთა მომზადება ოლიმპიადებისათვის, იმიტირებული პროცესებისა და სხვა სახის შეჯიბრებებისათვის; სეზონური სკოლის ორგანიზება/ხელმძღვანელობა; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიმღები კომისიის წევრობა; საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ლექციების წაკითხვა.

2^3. ამ წესის 2^1 და 2^2 პუნქტებში მითითებული თითოეული აქტივობა საათობრივ ნაწილში გამოითვლება შესაბამისი კოეფიციენტით:

ა) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა: 1 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი - კვირაში 1 საათი; 2 და მეტი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი - კვირაში 2 საათი;

ბ) სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ხელძღვანელობა - თითოეული ნაშრომი კვირაში 0.5 საათი;

გ) სასწავლო კურსის სახელმძღვანელოს შექმნა - კვირაში 2 საათი;

დ) სასწავლო კურსის რიდერის შექმნა - კვირაში 0.5 საათი;

ე) უნივერსიტეტის აკადემიური/წარმომადგენლობითი/სადისერტაციო და ფაკულტეტის საბჭოს წევრობა - კვირაში 0.5 საათი;

ვ) პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა/კოორდინატორობა - კვირაში 0.5 საათი;

ზ) საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრობა - კვირაში 0.5 საათი;

თ) სტუდენტის კონფერენციისათვის მომზადება, სტუდენტთა მომზადება ოლიმპიადებისათვის, იმიტირებული პროცესებისა და სხვა სახის შეჯიბრებებისათვის - კვირაში 1 საათი;

ი) სეზონური სკოლის ორგანიზება/ხელმძღვანელობა - კვირაში 1 საათი;

კ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიმღები კომისიის წევრობა - კვირაში 0.5 საათი;

ლ) საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ლექციების წაკითხვა - კვირაში 1 საათი;

მ) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა სასწავლო პედაგოგიური დატვირთვა, ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2^4. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის მიერ ამ წესის 2^1 პუნქტში მითითებული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა ასახულია დატვირთვის სქემაში, მასზე არ ვრცელდება ამ დადგენილების 2^1 და 2^2 პუნქტების მოთხოვნები.

2^5. პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი, რომელიც ვერ შეასრულებს 2^1 და 2^2 პუნქტებში მითითებულ სავალდებულო სასწავლო პედაგოგიურ დატვირთვას (კვირაში არანაკლებ 2 საათი), ვალდებულია მომდევნო სემესტრში (დანაკლისი საათების ოდენობით) დამატებით აანაზღაუროს წინა სემესტრის შესასრულებელი პედაგოგიური დატვირთვა შემდეგი აქტივობებით: ლექცია; სემინარი; პრაქტიკული მეცადინეობა; სამუშაო ჯგუფი; ლაბორატორიული მეცადინეობა; სასწავლო/საველე/პროფესიული პრაქტიკა.“.

2. წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2 დანართის მე-10 პუნქტი და №6 დანართის მე-7 პუნქტი მოქმედებს მხოლოდ ამ დადგენილების გამოცემისას ასისტენტის თანამდებობაზე უკვე დასაქმებული პირების მიმართ და მოქმედებას წყვეტს ამ პირთა შრომითი ხელშეკრულებების ვადის გასვლისთანავე. ამასთან, ასისტენტის თანამდებობაზე უკვე დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობების მიმართ არ ვრცელდება წინამდებარე დადგენილების №2 და №6 დანართების სხვა დებულებები.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 1870 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1340 ლარი;
დ) ასისტენტი - თვეში 700 ლარი (უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე თვეში - 800 ლარი).

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 6 სასემინარო საათი.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამავე პუნქტის ,,ბ.დ” ქვეპუნქტით):

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;
კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.დ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

3. ,,ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2030 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1740 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1460 ლარი;
დ) ასისტენტი - თვეში 800 ლარი (უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე თვეში -1000 ლარი).

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 8 სასემინარო საათი.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამავე პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით), რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ- პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები;

გ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

5. ასისტენტი, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში თავისუფლდება ასისტენტის აკადემიური თანამდებობიდან, გარდა იმ შემთხვევისა როცა მისი დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა დაკავშირებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებასა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან.

დანართი №2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. „გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 1350 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 900 ლარი;

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით

წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

3. ,,ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2100 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1900 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1450 ლარი;
დ) ასისტენტი - თვეში 700 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი - 6 საათი
სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 4 საათი საკონსულტაციო, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 6 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამ პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით), რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ- პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

გ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

5. ,,ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1900 ლარი;
დ) ასისტენტი - თვეში 800 ლარი.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი - 8 საათი
საუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - 10 საათი საუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 18 საათი - 14 საათი საუდიტორიო (პედაგოგიური), 4 საათი საკონსულტაციო, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 8 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამ პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით), რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორისათვის, ასოცირებული პროფესორისთვის და ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

გ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

7. წინამდებარე დანართის მე-3 (გარდა ასისტენტისა) და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პერსონალს (გარდა ასისტენტისა) შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

8. წინამდებარე დანართის მე-7 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;
გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური

პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები
განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.

10. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 700 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს არანაკლებ სავალდებულო კვირეული 6 - საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 2 - საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.

11. ასისტენტი, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში თავისუფლდება ასისტენტის აკადემიური თანამდებობიდან, გარდა იმ შემთხვევისა როცა მისი დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა დაკავშირებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებასა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან.

დანართი №3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აფილირებული აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1200 ლარი;
დ) ასისტენტი - თვეში 900 ლარი.

„ბ“ კატეგორიის არააფილირებული აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ
4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი,
ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 6 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამავე პუნქტის ,,ბ.დ” ქვეპუნქტით), რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2

პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით
გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2
პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ
ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ
ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.დ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 4500 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3600 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2700 ლარი;
დ) ასისტენტი - თვეში 1050 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი - 8 სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ

16 საათი - 12 - საუდიტორიო (პედაგოგიური), 4 - საკონსულტაციო, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 8 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

შესაფასებელი ქონების ტიპი:	*შემფასებლის აზრით შეფასების ობიექტი წარმოადგენს არასპეციალიზირებული ქონების ტიპს.*
მესაკუთრე:	*სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
შეფასების მიზანი:	*ყოველთვიური საიჯარო ღირებულების დადგენა*
შეფასების სავარაუდო გამოყენება:	*კლიენტის კონსულტაცია შეფასების ობიექტის საბალანსო ღირებულების ოდენობის შესახებ.*
შეფასებული უფლება:	*საკუთრებაზე მთლიანი უფლება.*
თარიღები:	*ქონების ღირებულების შეფასების თარიღი 18/11/2024, ინსპექტირების თარიღი 15/11/2024 მომზადების თარიღი 15-18 ნოემბერი წელი*
შეფასებული ღირებულება:	*საბაზრო ღირებულების დეფინიცია მოცემულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული სტანდარტების კრებულში, შემდეგი სახით: საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომელითაც, გაიცვლება აქტივი შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი მკლავის" პრინციპით ტრანსაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე".*
შეფასებული ღირებულების სიდიდე:	*910 (ცხრაას ათი) აშშ დოლარი დღგს ჩათვლით*
შეფასების გაზები:	*მოცემული შეფასება განხორციელებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის 2022 წელს გამოქვეყნებული სტანდარტების კრებულის შესაბამისად.*

1.0. უმაღლესი და საუკეთესო გამოყენება

დეფინიცია

ქონების ყველაზე სავარაუდო გამოყენება, რომელიც ფიზიკურად შესაძლებელია, იურიდიულად დაშვებულია და ფინანსურად შესაძლებელია, და ამასთან ერთად ქონების შეფასება იძლევა ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას.

ანალიზის სახეები

შეფასების პრაქტიკაში მიღებულია უმაღლესი და საუკეთესო გამოყენების ანალიზის ორი სახე:
1. ვაკანტური მიწის ნაკვეთისათვის;
2. გაუმჯობესებების (გაუმჯობესებული) მქონე მიწის ნაკვეთისათვის.
მიწის ნაკვეთის განაშენიანებიდან გამომდინარე ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებელს მიაჩნია, რომ შესაფასებელი ქონების უმაღლესს და საუკეთესო გამოყენებას წარმოადგენს მისი არსებული გამოყენება.

2.0. შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:
1. შემფასებელმა მოიძია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა. ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებლის მიერ მიღებულია დაშვება იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში ასახული ნებისმიერი სახის ინფორმაცია სწორია და შეესაბამება რეალობას.
2. შემფასებელი გულისხმობს რაიმე სახის ფარული ფაქტორების არ არსებობას (დასკვნაში აღნიშნულის გარდა), რომელთაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს შესაფასებელი ქონების ღირებულებაზე და არ იღებს პასუხისმგებლობას ასეთი ფაქტების არსებობაზე.
3. შემფასებელს არ ევალებდა და მას არ მოუხდენია შესაფასებელი ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთის გეოლოგიური კვლევა, რის გამოც ამ შეფასების მიზნებისათვის იგულსხმება, რომ მიწის ნაკვეთის გეოლოგიური მდგომარეობა აკმაყოფილებს სეისმურ და სხვა მოთხოვნებს.
4. მოცემული ანგარიში მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს მის მიერ შეფასებულ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება ხელიდან ხელში გასხვისებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით.
5. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ

არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით.

3.0. ღირებულების საფუძვლები (შსს 104)

საბაზრო საიჯარო ქირა

შემფასებლების მიერ შსს-ებით განსაზღვრული ღირებულების საფუძველი - საბაზრო საიჯარო ქირა შერჩეულია შეფასების დავალების პირობებისა და მიზნის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს დამკვეთის წარმომადგენლებისგან მიღებულ მითითებებს და საბაზისო მონაცემებს.

✓ საბაზრო საიჯარო ქირა არის გაანგარიშებითი თანხა, რის საფასურადაც ქონება უნდა გაიცეს იჯარით დაინტერესებული მეიჯარის მიერ დაინტერესებულ მოიჯარეზე შეფასების თარიღისათვის, იჯარის შესაფერისი პირობებით, „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებული გარიგებით, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ,
როდესაც თითოეული მხარე იმოქმედებს შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად;

✓ საბაზრო საიჯარო ქირის გამოყენება ღირებულების საფუძვლად შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც შემფასებელი აფასებს იჯარას, ან იჯარით წარმოქმნილ ინტერესს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის განხილვა და ასევე საბაზრო საიჯარო ქირის განხილვაც, თუ განსხვავებულია;

✓ საბაზრო საიჯარო ქირის ინტერპრეტაციაში დასახმარებლად შესაძლებელია საბაზრო ღირებულების განმარტებაში გათვალისწინებული კონცეპტუალური საფუძვლების გამოყენება. კერძოდ, გაანგარიშებითი თანხიდან სპეციალურად გამორიცხულია განსაკუთრებული პირობების, მოსაზრებების ან დათმობების გავლენით აწეული ან დაწეული საიჯარო ქირა. „იჯარის შესაფერისი პირობები“ ისეთი პირობებია, რომლებზეც, ჩვეულებრივ, შეთანხმდებოდნენ ამ ტიპის ქონების ბაზარზე ბაზრის მონაწილეები შეფასების თარიღისათვის. საბაზრო საიჯარო ქირის შეფასება (სიდიდე) ანგარიშში უნდა აისახოს მხოლოდ იჯარის ძირითად პირობებთან ერთად;

✓ სახელშეკრულობო საიჯარო ქირა არის საიჯარო ქირა, რომელიც გადასახდელია ფაქტობრივი იჯარის პირობების თანახმად. იგი შეიძლება იყოს ფიქსირებული (წინასწარ განსაზღვრული) თანხა იჯარის მთელი ვადისთვის, ან ცვალებადი. საიჯარო ქირის განსხვავებების გამოთვლის სიხშირე და საფუძველი განსაზღვრული იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში და შემფასებლისთვის სავალდებულოა მათი დადგენა და ცოდნა, მეიჯარის კუთვნილი მთლიანი სარგებლისა და მოიჯარის ვალდებულების დასადგენად;

✓ გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება აუცილებელი იყოს საბაზრო საიჯარო ქირის სიდიდის შეფასება არსებული იჯარის პირობების საფუძველზე (მაგ. საიჯარო ქირის დადგენის მიზნით, როდესაც იჯარის პირობები არსებობს და მაშასადმე არ იგულისხმება, რომ საიჯარო ქირა წარმოადგენს წარმოსახვითი იჯარის ნაწილს);

✓ საბაზრო საიჯარო ქირის გამოთვლისას, შემფასებელმა ვალდებულია გაითვალისწინოს:

- ისეთი საბაზრო საიჯარო ქირისთვის, რომელიც რომელიმე იჯარის საგანია - ამ იჯარის ვადები და პირობები მიიჩნევა იჯარის შესაფერის პირობებად, თუ ეს ვადები და პირობები არ არის უკანონო, ან არ ეწინააღმდეგება ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას;

- ისეთი საბაზრო საიჯარო ქირისთვის, რომელიც რომელიც არ არის რომელიმე იჯარის საგანი - პირობითი ვადები და პირობები იქნება წარმოსახვითი იჯარის პირობები, რომლებზეც ჩვეულებრივ შეთანხმდებოდნენ ამ ტიპის ქონების ბაზარზე ბაზრის მონაწილეები შეფასების თარიღისათვის;

4.0 ვიზუალიაცია

455 კვ/მ ფართი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N13-ში, XI (ბიოლოგების) კორპუსის 0 სართულზე, ძველი აშენებულია, სარემონტო მდგომარეობაში, საჭიროებს რემონტს.

5.0 გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა (მეთოდი)

გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომით ღირებულების დადგენა მოხდა ანალოგების მოძიებით, შესადარებელი ქონების ობიექტების შეფასების ქონების ობიექტთან შედარების გზით. (წყარო www.ss.ge)

საბაზრო საიჯარო ქირის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

მახასიათებლები	შეფასების ობიექტი	ანალოგი N1	ანალოგი N2	ანალოგი N3
მისამართი	უნივერსიტეტის ქ.	რ. ჩხიკვაძის ქ	ვაჟა ფშაველა	ჯიქიას ქ.
ფართი	455კვ.მ	550 კვ.მ	193 კვ.მ	106 კვ.მ
საიჯარო განაკვეთი 1კვ.მ/თვე	-	2,7/1500 $	6/1100 $	15/1600 $
შეთავაზების თარიღი	-	10.11.2024	01.11.2024	15.11.2024
კომუნალ. გადას. გადამხდელი	მოიჯარე	მოიჯარე	მოიჯარე	მოიჯარე
რემონტის დონე	ძველი	ძველი	ახალი	ახალი
სართული	სარდაფი	სარდაფი	ნახევარსარდაფი	პირველი სართ
კომუნიკაციები	გააჩნია	გააჩნია	გააჩნია	გააჩნია
სხვა მახასიათებლები	მსგავსი	მსგავსი	მსგავსი	მსგავსი
წყარო	-	www.ss.ge	www.ss.ge	www.ss.ge
ID	-	29699934	30575984	30005416

ანალოგებზე ინფორმაცია

ქირავდება სასაწყობე-საწარმოო ფართი საბურთალოზე

1,500 $ www.ss.ge ID: 29699934

რ.ჩხიკვაძის ქ.

მდგომარეობა: შავი კარკასი

სტატუსი: ძველი აშენებული

აღწერა

ვთანაბამსრომლობ სააგენტოებთან, საბურთალო, ნუცუბიძე, ვილა ბერიკას გვერდით, ნახევრად სარდაფი, სასაწყობო სამეწარმო, 550 კვ.მ, შიდა ფართი , სივრცეები თითო 5070 კვ მეტრი, ჭერის სიმაღლე 4 მეტრი, მდგომარეობა ძველი გარემონტებული, 3 ფაზიანი დენი, წყალი, გაზი არ არის, არის ვენტილაციის სისტემა, ადრე იყო, ქიმწმენდა და რკინის საამქრო, პარკინგი და დიდი მანქანის ადგილი

ქირავდება სარდაფი საბურთალოზე

07 ნოე 2024

3000 GEL www.ss.ge ID:30575984

ვაჟა-ფშაველას გამზ.

ქირავდება ვაჟა ფშაველას 15ა ში კომერციული ფართი 193 კვ.მ. ნახევარსარდაფი,ყოფილი ფიტნეს ცენტრი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სასაწყობო, ასევე სამეწარმეო საქმიანობისთვის. ფასი 3000 ლარი.

193 მ²

ქირავდება კომერციული ფართი საბურთალოზე www.ss.ge ID: 30005416

1,600 $ პოლიტკოვსკაიას ქ. (ჯიქიას ქ.)

ვარ მესაკუთრე. ქირავდება ანა პოლიტკოვსკაიას (ჯიქიას) ქუჩა 51-ში მდებარე ვიტრაჟული კომერციული ფართი (პირველი სართული) სოხუმის უნივერსიტეტთან. გაკეთებულია დიდი გაშლილი სივრცე, 3 იზოლირებული ოთახი და 1 სველი წერტილი. ფართი არის ნათელი როგორც წინა, აგრეთვე უკანა მხრიდანაც. მდებარეობს ახალ დატვირთულ აქტიურ უბანში ბევრი მოსახლით. მიმდებარედ არის ორი ნაბიჯის, მაგნიტის, ნიკორას და გვირილას მარკეტები. გამოდება ძალიან ბევრი სხვადასხვა დანიშნულებისთვის. შეგიძლიათ ფართი გადააკეთოთ სურვილისამებრ და გამოყოთ დამატებით ოთახები.

მისამართი	უნივერსიტეტის ქ.	რ. ჩხიკვაძის ქ	ვაჟა ფშაველა	ჯიქიას ქ.
ქონების ტიპი	კომერციული ფართი	კომერციული ფართი	კომერციული ფართი	კომერციული ფართი
1 თვის საიჯარო ღირებულება		1500 $	1100 $	1600 $
ფართი	455 კვ.მ	550 კვ.მ	193 კვ.მ	106 კვ.მ
ღირებულების გაანგარიშება				
შედარების ელემენტები	შეფასების ობიექტი	ანალოგი N1	ანალოგი N2	ანალოგი N3
საიჯარო ფასი 1 კვ.მ		$ 3	$ 6	$ 15
გადასაცემი საკუთრების უფლება	შეზღუდული	შეზღუდული	შეზღუდული	შეზღუდული
შესწორება		0%	0%	0%
შესწორებული ფასი		$ 4	$ 5	$ 15
ფინანსირების პირობები	ტიპიური	ტიპიური	ტიპიური	ტიპიური
შესწორება		0%	0%	0%
შესწორებული ფასი		$ 4.00	$ 5.00	$ 15.00
იჯარის პირობები	იჯარის ფასი	შეთავაზება	შეთავაზება	შეთავაზება
შესწორება		-5%	-5%	-5%
შესწორებული ფასი		$ 3.80	$ 4.75	$ 14.25
ბაზრის პირობები (დრო)	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე
შესწორება		0%	0%	0%
შესწორებული ფასი		$ 3.80	$ 4.75	$ 14.25
ადგილმდებარეობა/ მისადგომლობა				
მიმზიდველობის თვალსაზრისით		უკეთესი	უკეთესი	უკეთესი
შესწორება	-	-10%	-10%	-10%
შესწორებული ფასი		$ 3.4	$ 4.3	$ 13
მისადგომლობა		უკეთესი	უკეთესი	უკეთესი
შესწორება	-	-15%	-15%	-30%
შესწორებული ფასი		$ 2.91	$ 3.63	$ 8.98
ფიზიკური მახასიათებელი				
კომუნიკაციები (გათბობა კონდიცირება)	არ გააჩნია	უკეთესი	უკეთესი	უკეთესი
შესწორება		-10%	-10%	-30%
შესწორებული ფასი		$ 2.6	$ 3.3	$ 6.3
რემონტის დონე	სარემონტო	უკეთესი	უკეთესი	უკეთესი
შესწორება		-30%	-30%	-30%
შესწორებული ფასი		$ 1.8	$ 2.3	$ 4.4
ფართი	455 კვ.მ	550 კვ.მ	193 კვ.მ	106 კვ.მ
შესწორება		0%	-20%	-20%
შესწორებული ფასი		$ 1.8	$ 1.8	$ 3.5

ქონების არაუძრავი კომპონენტები	არ გააჩნია	არ გააჩნია	არ გააჩნია	არის
შესწორება		0%	0%	0%
შესწორებული ფასი		$ 1.8	$ 1.8	$ 3.5
ფასი ყველა შესწორების შემდეგ		$ 1.8	$ 1.8	$ 3.5
შეწონვის კოეფიციენტი	1	0.4	0.3	0.3
შეწონილი ფასები		0.73	0.55	1.06
1 კვ.მ საიჯარო ღირებულება	2 $			
1 თვის საიჯარო ღირებულება	910 $			

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 34735/10 24.12.2024

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის შენობაში (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. 10) ამჟამად მიმდინარეობს შენობის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები და შენობა საჭიროებს იქ განთავსებული მანქანა-დანადგარებისაგან განთავისუფლებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის 05.11.2024წ. N21777/02-80-05 წერილით სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას" წინაშე დასმული იქნა საკითხი უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხის 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხის 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი), რომლებიც განთავსებულნი არიან აღნიშნულ შენობაში და ამჟამად უნივერსიტეტისათვის გამოუყენებელია, მათთვის გადაცემის თაობაზე.

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ" მ.წ. 8 ნოემბრის MOD 7 24 01435761 წერილით დააფიქსირა დადებითი პოზიცია ჩარხების გადაცემის თაობაზე, ასევე ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი თავისი მ.წ. 18 ნოემბრის N 31212/10 წერილით გამოხატავს თანხმობას.

საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის (ოქმი 19.12.2024წ. კ/ნ N34496/10 - 23.12.2024წ.) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ აღნიშნულ დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მოგვცეთ თანხმობა დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: ფაილი.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 34496/10 23.12.2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის

ოქმი

ქ. თბილისი 19.12.2023 წ.

სხდომის თავმჯდომარე - ლაშა საღინაძე
სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შამათავა.
წევრები: ზვიადი სოფრომაძე, არჩილ კუკულავა, მურმან ცარციძე, მანონი ჯოჯუა, რუსუდან ნასარიძე, ლიანა ღვალაძე, ლიანა მჭედლიშვილი.
სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე
სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იოსებ სოფრომაძე.

დღის წესრიგი:
1. სს - თელასისათვის რიგი ტრანსფორმატორების გადაცემის შესახებ, კერძოდ:
ა) ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.005.057) განთავსებულ #A-1077 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად);
ბ) ქ. თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.006.117) განთავსებულ #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიწის ნაკვეთი;
გ) ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (ს/კ 01.13.02.009.015 შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად).

2. თსუ-ის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. N10) შენობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხის 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხის 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი), სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასათვის" გადაცემის შესახებ.

3. ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. №2-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 01.14.06.006.098) დაახლოებით 20 კვ.მ.-მდე დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ, კაფე/დრაივის მოწყობის მიზნით.

4. უნივერსიტეტის მე-10 კორპუსის (ს.კ. 01.14.06.006.098) წინ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გაცემის თაობაზე, კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, პიცის აპარატის განთავსების შესახებ.

5. უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში მეამას ყავის დროფერის განთავსებაზე ნებართვის გაცემის შესახებ.

6. უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ახლადაშენებული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1000 მ² მიწის ნაკვეთზე, ავტოსკოლის სასწავლო მოედნის მოწყობის შესახებ.

7. თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №3 (ს.კ. 01.10.13.040.096), ბიბლიოთეკის შენობაში და გარე ტერიტორიაზე რიგი ფართების დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი, კერძოდ:
ა) შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. მართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა - გაყიდვა,) ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის შესახებ, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.
ბ) შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის, წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.
გ) ქ.თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების №1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ) იჯარით გაცემის შესახებ, სწრაფი აპარატის (PAY BOX) განთავსების მიზნით.

8. მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გაცემის და მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის თაობაზე.

9. უნივერსიტეტის 11 ტონა მაკულატურის განკარგვის შესახებ.

დღის წესრიგით განსახილველ საკითებთან დაკავშირებით კომისიის წევრმა ზვიად სოფრომაძემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა შემდეგი:
საკითხი 1. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი გარკვეულ თანხებს ხარჯავს ტრანსფორმატორების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ამასთან, სს „თელასისთვის“ გადაცემა შეამცირებს უნივერსიტეტის ხარჯებს ამ ნაწილში და თელასი თავისი მხრივ უზრუნველყოფს სატრანსფორმატორო ქვესდაგურების სათანადო რეაბილიტაციას და ექსპლუატაციას და ასევე, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 05.02.2024წ. #5/5829 წერილის გათვალისწინებით, მიზანშწონილია განხორციელდეს:

ა) ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.005.057) განთავსებულ #A-1077 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად) ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია და უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმება.

ბ) ქ. თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.006.117) განთავსებულ #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად) ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია და უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმება.

გ) ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის ((ს/კ 01.13.02.009.015) შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად) ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია და რეგისტარციის შემდეგ მოხდეს გადაცემა არსებული წესის შესაბამისად.

ამასთან, ყველა ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ქმედებების, როგორც ტექნიკურის (გამიჯვნის ნახაზები, შეთანხმებები სათანადო უწყებებთან და ა.შ.), ასევე ფინანსურის განხორციელება ეთხოვოს სს „თელასს“.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**
საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

საკითხი 2. იმის გათვალისწინებით, რომ დღის წესრიგის მე-2 საკითხში მითითებული საჩარხი ჩარხები დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტისათვის გამოუყენებელია (გადმოცემულია სარგებლობაში), ამასთან, აღნიშნულ შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ასევე, ინსტიტუტი გამოხატავს თანხმობას მათი სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ ,,დელტაზე“ გადაცემაზე, უმჯობესი იქნება განხორციელდეს მათი გადაცემა აღნიშნული ცენტრისათვის.

დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**
საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

საკითხებზე: 3-4-5-6 - კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, წარმოდგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ამასთან, ეთხოვოს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს ოფიციალურად, წერილობითი სახით, მოამზადოს უარის თქმის კორესპონდენციების პროექტები.

საკითხი 7. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა თუს-ის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციის მოთხოვნა, დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე, როგორც ბიბლიოთეკის შენობის შიდა, ასევე, გარე ტერიტორიაზე არსებული ფართების სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან მიმართებით,

საჭიროა დადგინდეს გასაცემი ფართების საიჯარო ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და შესაბამისი კორესპონდენცია გაიგზავნოს საქართველოს განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, თანხმობის მიღების მიზნით.

დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**

დადგინდეს გასაცემი ფართების საიჯარო ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და შესაბამისი კორესპონდენცია გაიგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, თანხმობის მიღების მიზნით.

საკითხი 8. დღის წესრიგის მე-8 საკითხზე, კერძოდ, თსუ-ის მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გაცემის და მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის თაობაზე, მომხსენებლმა კომისიას მოახსენა, რომ დამოუკიდებელი შემფასებლის შეფასების ანგარიშის, მიხედვით 1კვ.მ ფართის ღირებულება აღნიშნულ ლოკაციაზე შეადგენს 2 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. ამასთან, მითითებული ფართი მთლიანად სარემონტოა და იჯარით აღების მსურველის მიერ გამოთქმულია დასტური იმისა, რომ უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოახდენს ფართის რემონტს და რეაბილიტაციას და აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებ,ა მოხდეს უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში ნულოვან სართულზე არსებულ 455 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემა.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება და **ერთხმად დაადგინეს:**

საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.

საკითხი 9. მომხსენებლმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, მასზედ, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაწყობებულია საქმის წარმოებით დასრულებული საარქივო და სხვა გამოუყენებელი დოკუმენტები (მაკულატურა), რომელთა სავარაუდო წონა შეადგენს 11 ტონას და სასურველია მოხდეს მისი რეალიზება (განკარგვა).

დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**

საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

ზვიად სოფრომაძე

განყოფილების უფროსი
აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება

მურმანი ცარციძე

ექსპერტი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა ღვალაძე

განყოფილების უფროსი
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
საფინანსო დეპარტამენტი

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

სსიპ სახელმწიფო სამხედრო
სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“

ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.N191დ
0144 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 71 00 02
info@delta.gov.ge

08 ნოემბერი 2024

MOD 7 24 01435761

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

2024 წლის 5 ნოემბრის N 21777/02-80-05 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" თანახმაა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარგებლობაში მიიღოს აღნიშნული წერილით წარმოდგენილი ჩარხ-დანადგარები.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე
გრიგოლ კობიაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 30849/10 14/11/2024

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს ბატონ მირიან ტაბიძეს

ბატონო მირიან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. სამუშაოების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ სარდაფში განთავსებულია უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხი 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხი 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი) და ამჟამად უნივერსიტეტისათვის გამოუყენებელია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ჩარხები გადაცემული იქნას სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაზე", რაზედაც მათ მიერ გამოთქმულია თანხმობა.

გთხოვთ, თქვენს პოზიციას დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 21777/02-80-05

21777-02-80-05-2-202411051624

05/11/2024

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას"

გაცნობებთ, რომ სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ სარგებლობაში გადმოცემული აქვს კოორდინატული საჩარხი ჩარხი 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხი 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი), რომელიც განთავსებულია ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის შენობაში (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. 10) და ამჟამად უნივერსიტეტისათვის გამოუყენებელია.

ჩვენსა და თქვენს წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩარხები სარგებლობაში გადმოცემული ყოფილიყო სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაზე".

თქვენი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში უნივერსიტეტი მზადაა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები აღნიშნული დანადგარების სარგებლობაში გადმოცემის თაობაზე.

დანართი: ფოტომასალა.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ბეჭედი • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
HIGH ENERGY PHYSICS INSTITUTE

N 31212/10
18.11.2024

31212-10-3-202411181422

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა

თქვენ მიერ გამოგზავნილ წერილზე N 30849/10, რომელიც ეხება სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაზე" კოორდინატული სახარატო ჩარხიების 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი) გადაცემას, მოგახსენებთ, რომ ინსტიტუტის დირექცია თანახმაა გადასცეს უნივერსიტეტმა აღნიშნული ჩარხები „დელტას“.

პატივისცემით,

მირიან ტაბიძე

დირექტორი
ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

უნივერსიტეტის ქ. 9, 0186 თბილისი, საქართველო
9, University, str. 0186 Tbilisi, Georgia

ტელეფონი: +(995 32) 218 89 07 Tel.
ფაქსი: +(995 32) 218 98 52 Fax.
ელფოსტა: hepitsu@hepi.edu.ge E-mail

СССР
ЗАВОД
КООРДИНАТНО-РАСТОЧНЫХ
СТАНКОВ
г. КУЙБЫШЕВ
МОДЕЛЬ
ЗАВОДСКОЙ №
ГОД ВЫПУСКА

СССР
СТАНКОСТРОИТЕЛЬНЫЙ
ЗАВОД
им. Ф.Э. ДЗЕРЖИНСКОГО
MADE IN USSR

2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 34737/10 24.12.2024

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მ.წ. 10 აპრილის #10095/10 წერილით უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია დასაწყობებული საქმის წარმოებით დასრულებული საარქივო და სხვა გამოუყენებელი დოკუმენტების, რომელთაც ამოწურული აქვთ კანონით დადგენილი შენახვის ვადა (მაკულატურა), არსებობის და რაოდენობის თაობაზე.

წარმოდგენილი წერილებით ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით ასეთი მასალების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 11 ტონას.

საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 19.12.2024წ. კ/ნ N34496/10 - 23.12.2024წ.) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება 11 ტ მაკულატურის რეალიზების თაობაზე.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ აღნიშნულ დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მოგვცეთ თანხმობა დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1223

2011 წლის 7 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრის აპარატების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქმისწარმოებით დასრულებული საარქივო დოკუმენტების გაყიდვის უფლების მინიჭების შესახებ

1. მიეცეთ უფლება საქართველოს სამინისტროებს, სახელმწიფო მინისტრის აპარატებს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს განახორციელონ საქმისწარმოებით დასრულებული საარქივო დოკუმენტების (რომლებსაც ამოწურული აქვთ კანონმდებლობით დადგენილი შენახვის ვადა) გაყიდვა, მათი უტილიზაციის მიზნით.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულმა უწყებებმა უზრუნველყონ საქმისწარმოებით დასრულებული საარქივო დოკუმენტების შემძენის მიერ მათი უტილიზაციის პროცესის (დოკუმენტაციის დაპრესვა, დაჭრა და სხვ.) ზედამხედველობა და კონტროლი.

პრემიერ-მინისტრი **ნ. გილაური**

N 34496/10 23.12.2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის

ოქმი

ქ. თბილისი 19.12.2023 წ.

სხდომის თავმჯდომარე - ლაშა საღინაძე
სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შამათავა.
წევრები: ზვიადი სოფრომაძე, არჩილ კუკულავა, მურმან ცარციძე, მანონი ჯოჯუა, რუსუდან ნასარიძე, ლიანა ღვალაძე, ლიანა მჭედლიშვილი.
სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე
სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იოსებ სოფრომაძე.

დღის წესრიგი:
1. სს - თელასისათვის რიგი ტრანსფორმატორების გადაცემის შესახებ, კერძოდ:
ა) ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.005.057) განთავსებულ #A-1077 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად);
ბ) ქ. თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.006.117) განთავსებულ #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიწის ნაკვეთი;
გ) ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (ს/კ 01.13.02.009.015 შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად).

2. თსუ-ის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქ. N10) შენობაში არსებული კოორდინატული საჩარხი ჩარხის 18440A (საბალანსო ღირებულება 3328 ლარი) და კოორდინატული საჩარხი ჩარხის 2421 (საბალანსო ღირებულება 2315 ლარი), სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასათვის" გადაცემის შესახებ.

3. ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. №2-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 01.14.06.006.098) დაახლოებით 20 კვ.მ.-მდე დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ, კაფე/დრაივის მოწყობის მიზნით.

4. უნივერსიტეტის მე-10 კორპუსის (ს.კ. 01.14.06.006.098) წინ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გაცემის თაობაზე, კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, პიცის აპარატის განთავსების შესახებ.

5. უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში მეამას ყავის დროფერის განთავსებაზე ნებართვის გაცემის შესახებ.

6. უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ახლადაშენებული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1000 მ² მიწის ნაკვეთზე, ავტოსკოლის სასწავლო მოედნის მოწყობის შესახებ.

7. თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №3 (ს.კ. 01.10.13.040.096), ბიბლიოთეკის შენობაში და გარე ტერიტორიაზე რიგი ფართების დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი, კერძოდ:
ა) შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. მართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა - გაყიდვა,) ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის შესახებ, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.
ბ) შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის, წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.
გ) ქ.თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების №1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ) იჯარით გაცემის შესახებ, სწრაფი აპარატის (PAY BOX) განთავსების მიზნით.

8. მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გაცემის და მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის თაობაზე.

9. უნივერსიტეტის 11 ტონა მაკულატურის განკარგვის შესახებ.

დღის წესრიგით განსახილველ საკითებთან დაკავშირებით კომისიის წევრმა ზვიად სოფრომაძემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა შემდეგი:
საკითხი 1. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი გარკვეულ თანხებს ხარჯავს ტრანსფორმატორების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ამასთან, სს „თელასისთვის“ გადაცემა შეამცირებს უნივერსიტეტის ხარჯებს ამ ნაწილში და თელასი თავისი მხრივ უზრუნველყოფს სატრანსფორმატორო ქვესდაგურების სათანადო რეაბილიტაციას და ექსპლუატაციას და ასევე, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 05.02.2024წ. #5/5829 წერილის გათვალისწინებით, მიზანშწონილია განხორციელდეს:

ა) ქ. თბილისში მინდელის ქ N11-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.005.057) განთავსებულ #A-1077 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად) ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია და უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმება.

ბ) ქ. თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში (თსუ-ის სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.006.117) განთავსებულ #A-955 სატრანსფორმატორო ქვესადგურის (მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად) ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია და უძრავი ქონების ამ ნაწილზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმება.

გ) ქ. თბილისში ბელიაშვილის ქ. 78-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული #A-851 სატრანსფორმატორო ქვესადგურის ((ს/კ 01.13.02.009.015) შენობა, მიწის ნაკვეთი, ელექტრო და საკაბელო მეურნეობასთან ერთად) ცალკე უფლების მქონე ობიექტად რეგისტრაცია და რეგისტარციის შემდეგ მოხდეს გადაცემა არსებული წესის შესაბამისად.

ამასთან, ყველა ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ქმედებების, როგორც ტექნიკურის (გამიჯვნის ნახაზები, შეთანხმებები სათანადო უწყებებთან და ა.შ.), ასევე ფინანსურის განხორციელება ეთხოვოს სს „თელასს“.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**
საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

საკითხი 2. იმის გათვალისწინებით, რომ დღის წესრიგის მე-2 საკითხში მითითებული საჩარხი ჩარხები დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტისათვის გამოუყენებელია (გადმოცემულია სარგებლობაში), ამასთან, აღნიშნულ შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ასევე, ინსტიტუტი გამოხატავს თანხმობას მათი სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ ,,დელტაზე“ გადაცემაზე, უმჯობესი იქნება განხორციელდეს მათი გადაცემა აღნიშნული ცენტრისათვის.

დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**
საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

საკითხებზე: 3-4-5-6 - კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, წარმოდგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ამასთან, ეთხოვოს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს ოფიციალურად, წერილობითი სახით, მოამზადოს უარის თქმის კორესპონდენციების პროექტები.

საკითხი 7. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა თუს-ის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციის მოთხოვნა, დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე, როგორც ბიბლიოთეკის შენობის შიდა, ასევე, გარე ტერიტორიაზე არსებული ფართების სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან მიმართებით,

საჭიროა დადგინდეს გასაცემი ფართების საიჯარო ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და შესაბამისი კორესპონდენცია გაიგზავნოს საქართველოს განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, თანხმობის მიღების მიზნით.

დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**

დადგინდეს გასაცემი ფართების საიჯარო ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და შესაბამისი კორესპონდენცია გაიგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, თანხმობის მიღების მიზნით.

საკითხი 8. დღის წესრიგის მე-8 საკითხზე, კერძოდ, თსუ-ის მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.06.006.133) იჯარის ფორმით (10 წლის ვადით) გაცემის და მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის თაობაზე, მომხსენებლმა კომისიას მოახსენა, რომ დამოუკიდებელი შემფასებლის შეფასების ანგარიშის, მიხედვით 1კვ.მ ფართის ღირებულება აღნიშნულ ლოკაციაზე შეადგენს 2 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. ამასთან, მითითებული ფართი მთლიანად სარემონტოა და იჯარით აღების მსურველის მიერ გამოთქმულია დასტური იმისა, რომ უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოახდენს ფართის რემონტს და რეაბილიტაციას და აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებ,ა მოხდეს უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში ნულოვან სართულზე არსებულ 455 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემა.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება და **ერთხმად დაადგინეს:**

საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.

საკითხი 9. მომხსენებლმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, მასზედ, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაწყობებულია საქმის წარმოებით დასრულებული საარქივო და სხვა გამოუყენებელი დოკუმენტები (მაკულატურა), რომელთა სავარაუდო წონა შეადგენს 11 ტონას და სასურველია მოხდეს მისი რეალიზება (განკარგვა).

დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**

საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

ზვიად სოფრომაძე

განყოფილების უფროსი
აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება

მურმანი ცარციძე

ექსპერტი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა ღვალაძე

განყოფილების უფროსი
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
საფინანსო დეპარტამენტი

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 10095/10 10.04.2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ყველა სტრუქტურულ ერთეულს

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2011წლის 7 ივნისის #1223 განკარგულების, „საქართველოს სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრის აპარატების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქმისწარმოებით დასრულებული საარქივო დოკუმენტების გაყიდვის უფლების მინიჭების შესახებ“ შესაბამისად, დაწყებულია მუშაობა უნივერსიტეტში არსებული საქმისწარმოებით დასრულებული საარქივო და სხვა დოკუმენტების (რომელთაც ამოწურული აქვთ კანონით დადგენილი შენახვის ვადა) განკარგვის თაობაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გთხოვთ, აღნიშნული პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მ.წ. 23 აპრილამდე მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქმისწარმოებით დასრულებული საარქივო და სხვა დოკუმენტების სავარაუდო ოდენობის შესახებ, მათი განთავსების ადგილის მითითებით.

საკონტაქტო პირი - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის, აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილების უფროსის მოადგილე ლიანა მჭედლიშვილი 577989770

პატივისცემით,

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail